სამშაბათი

№9(189)
სექტემბერი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

"აუწყეთ მსოფლიოს ქრისტე და მისი სიყვარული. მას სურს, რომ სწორედ თქვენ გახდეთ XXI საუკუნის მოსიქალაქები. ნუ გაანბილებთ მას"

ბენედიქტე XVI (მადრიდი, 2011 წ. აგვისტო)

ინტერნეტი სკოლაში



ინტერნეტი უკვე ის რეალობაა, რომელიც მრავალი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. თუკი რამდენიმე წლის წინ იგი მხოლოდ სპეციალისტების სფეროს წარმოადგენდა, დღეს უკვე იმ „ადგილად“ იქცა, რომელსაც ადამიანი ხშირად აკითხავს შორეულ მეგობრებთან კონტაქტში შესასვლელად, ახალი ამბების გასაცნობად, წიგნების საყიდლად თუ მოგზაურობის დასაგეგმად, ასევე, სხვების ინტერესებისა და იდეების გასაზიარებლად. ინტერნეტი უკვე აღარ არის მხოლოდ ინსტრუმენტი, რისი გამოყენებაც შეიძლება, ან არ შეიძლება, იგი არის კულტურული „გარემო“, რომელიც განსაზღვრავს აზროვნების სტილს, სამყაროს ორგანიზებისა და ცხოვრების, ერუდირებულთა სტიმულირების განსაკუთრებული ფორმა, ასევე არის დემოკრატიის გაძლიერებისა და თავისუფლების დაცვის საშუალება; საიტებში „ძრომიალი“ უკვე ყველასთვის ნაცნობი ხერხია; ინტერნეტი ინფორმაციისა და საინტერესო კითხვებზე პასუხების უშრეტი „ოკეანეა“; მასზე საუბრობენ, როგორც „ინფორმაციის საყოველთაო წყაროზე“. ცხადია, ინტერნეტმა ისეთივე რევოლუცია მოახდინა მეცნიერებაში, როგორიც რკინიგზამ რვაასიანი წლების მეორე ნახევარში, ე.წ. railway revolution. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ყოველი გამოგონება, ბორბლიდან (ასევე, სტამბა, ტელეგრაფი და სხვა) დაწყებული, რომელმაც ადამიანებს შესაძლებლობა მისცა, განევითარებინათ კომუნიკაცია და ურთიერთობები, რევოლუციურ გამოგონებად ითვლება; ამ რევოლუციის ფესვები წარსულში უნდა ვეძიოთ, რადგანაც ახლებურად აჩვენებს ისეთივე უძველეს ფასეულობებსა და სურვილებს, როგორიც თავად ადამიანია: ურთიერთობები, კომუნიკაცია, გაცნობა. შეუძლებელია, ადამიანი გამოთიშო თავის მატერიალურ გარემოს, იმ ნიშნებსა და ხატებს, რისი მეშვეობითაც ცხოვრებასა და სამყაროს აზრს ანიჭებს. ასევე შეუძლებელია, გაათავისუფლო მატერიალური სამყარო, – და მით უფრო ნაკლებად მისი ხელოვნური ნაწილი, – იმ იდეებისაგან, რისი მეშვეობითაც ტექნიკური საგნები აღიქმება და გამოიყენება ადამიანთა მიერ, ანუ ვინც მათ იგონებს, აწარმოებს და იყენებს. ადამიანი ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც არის, რომ არა ცეცხლი, ანბანი...; ტექნოლოგია მოქმედების ის ნაწილია, რითაც ის საკუთარ ცოდნას, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის უნარს გამოცდის. ციფრულ კულტურას ადამიანის ცნობიერებისა და ურთიერთობების გაფართოებაზე აქვს პრეტენზია. მაგრამ ინტერნეტით წარმოებული აღზრდა, ანუ ინტერნეტის წყალობით ვირტუალურად მიღებული განათლება, არსებითად განსხვავებულია იმისგან, რაც დროში ხდება: კონკრეტულად, აქ წაშლილია უფროს-უმცროსს შორის სხვაობა; გაუგებარი კოდებით შედგენილი კედელი, ვირტუალური თავშესაფარი, საშიში შეხვედრები, ჰერმეტიკული ენა; გულახდილი ზონა, სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს და სადაც უფროსებმა, დიდი სურვილის მიუხედავად, არ იციან, როგორ და სად შევიდნენ, თუნდაც ფლობდნენ პაროლსაც და შესასვლელ კოდსაც. მშობლები, რომლებიც გაოგნებულები უყურებენ შვილების კომპიუტერს, შვილები, რომლებიც მოხერხებულად ხმარობენ parental controlis ყველა ფორმას: ინტერნეტი, როგორც ამას ახლახანს აცხადებდა ინგლისელ ექსპერტთა ერთი ჯგუფი „Guardian“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, თაობათა შორის ახალ ბარიერად აღიმართა; ტექნოლოგიამ, ერთი შეხედვით, გაასამმაგა ანაგრაფიული მანძილი მათ შორის, ვინც იცის და ვინც არ იცის, ამ სხვაობამ უკვე უფსკრული წარმოშვა. ქსელი „ბიოლოგიური“ გზით ერთ ორგანიზმად იქცა: არ არსებობს არანაირი პრევენცია და კონტროლი; იგი თვითორგანიზებას ახდენს და არ ცნობს არანაირ იერარქიულ სტრუქტურას. ასეა თუ ისე, ინტერნეტი და კავშირგაბმულობის ქსელები მართლაც საგულისხმო გამოწვევებს სთავაზობს საზოგადოებას, ოჯახს, სკოლას... ეკლესიას. ახალი გამოწვევა ჩნდება აღმზრდელობით სფეროში! კომპიუტერის შეძენა და მოხმარება ოჯახში ფართოდ ინერგება, და ეს შვილების დიდი აქტიურობის შედეგია, რაც ერთი მხრივ სწორიცაა, მაგრამ მეორე მხრივ, არ შეიძლება, რომ ინტერნეტმა მშობლების ფუნქცია ჩაანაცვლოს! კომპიუტერი და ინტერნეტში ჩართვა შეიძლება იყოს როგორც მშობლებსა და შვილებს შორის კავშირის საშუალება, ასევე მისი გაწყვეტის მიზეზიც: ეს განსაკუთრებით უფროსთა საქციელზეა დამოკიდებული. თუ ისე გააკეთებ, რომ ინტერნეტში „უსაფრთხოდ იძრომიალონ“ მოზარდებმა, ერთგვარად მათ იმასაც ასწავლი, თუ როგორ გაერკვნენ რეალური სამყაროს სირთულეებში. მსოფლიოში მრავლად არის ისეთი გარემოებები, სადაც ბედის ანაბარად ვერ დატოვებ მოზარდს, იგივე ითქმის ინტერნეტზეც. ალბათ, ყველას ახსოვს, როგორ ასწავლეს მას გზაზე გადასვლის წესები, პირადი ჰიგიენის დაცვა... თუმცა არც ერთი ჩვენგანისთვის

არ უსწავლებიათ, როგორ და რა დოზით გავუზიაროთ სხვებს პერსონალური ინფორმაცია ინტერნეტით, ანუ როგორ გავუმკლავდეთ „cyberbulli“-ს. ამისათვის საჭიროა აღზრდა კრიტიკის გრძნობით. ამერიკელი ფსიქოლოგი, გარდნერი, წერს: „მე ყოველთვის ვამბობ, რომ ინფორმაცია იგივე არ არის, რაც ცოდნა; ცოდნა იგივე არ არის, რაც განსჯა და განსჯა იგივე არ არის, რაც სიბრძნე“. ეს ნათელი მაგალითია იმისათვის, რომ შეგვეძლოს გარჩევა, რაც არ ნიშნავს მხოლოდ კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისგან გარჩევას, არამედ მათ გარჩევას, რაც საჭიროა და რაც არაა საჭირო. კრიტიკის გრძნობით აღზრდა ნიშნავს იმაზე დაფიქრებას, რისი ათვისებაც ხდება. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გაგება, რას და როგორ ვითვისებთ. კრიტიკის გრძნობით აღზრდა ნიშნავს ასევე პასუხისმგებლობის გრძნობით აღზრდას. ყოველ ადამიანს შეუძლია ნებისმიერი რამის განთავსება მსოფლიო ვებ-ქსელში. ამიტომაც საშიშროება კიდევ უფრო დიდია. ადამიანებს ნებისმიერი რამის გამოქვეყნება შეუძლიათ ინტერნეტით, რის გამოც თავად მომხმარებელმა უნდა დაადგინოს, არის თუ არა ინფორმაცია ზომიერი. მოზარდმა, საკმარისია იცოდეს Word-ი, რომ შექმნას ვებ-გვერდი, ეს არავითარ ინფორმატიკულ ცოდნას არ მოითხოვს. ამის გაკეთება ნებისმიერს შეუძლია მინიმუმი აპლიკაციით... 8-10 წლის ბავშვსაც კი! მეორე დიდ პედაგოგიურ ამოცანად რჩება თავისუფლების გრძნობით აღზრდა. ვფიქრობ, რომ შეუძლებელია თავისუფლების გრძნობით აღზრდა ინტერნეტში მძიმე საიტების „გასუფთავებით“. ეს უფრო „გაფილტვრის“, კონტროლის ინსტრუმენტების საქმეა, რაც სარეგლამენტაციო არეს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე აღმზრდელობითს. მაშ, რა უნდა გაკეთდეს? ამ საკითხშიც გარდნერს დავესესხები: „მე ვიცი, რომ არ შემიძლია გულგრილად ვუყურო მედიაში ძალადობის რომელიმე ფორმის გამოვლენას; ეს ძალიან მტკენს გულს. მაგრამ არ შემიძლია, ავუკრძალო მისი ყურება ჩემს შვილებს, რომელთაც ძალადობა აინტერესებთ. ისინი ჩემი მადლიერი არ იქნებიან, და ვფიქრობ, რომ ჩემი საქციელი მათზე გარკვეულად იმოქმედებს. საჭიროა, საკმარისად ვენდოთ საკუთარ შვილებს; უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი არ დაიღუპებიან, მხოლოდ იმიტომ რომ ვულგარულ ფილმებს უყურებენ ინტერნეტში. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც შეიძლება მართლა მოკლან მეზობელ სახლში. არ შეიძლება ასეთი რამის აკრძალვა. საჭიროა, რომ ვიზრუნოთ და დავეხმაროთ ბავშვებს მოვლენათა სწორად გაგებაში. თუკი ბავშვი ცდება, უნდა ვუთხრათ ეს. შემდეგ კი ჩვეულებრივ განვაგრძოთ ცხოვრება და მომხდარი არ გადავაქციოთ ტრაგედიად“. არასწორი საქციელის თავიდან ასაცილებლად, აღმზრდელს უნდა შეეძლოს ნდობის, როგორც საუკეთესო მეთოდის, მართვა. ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ პრეტექნოლოგიურ ეპოქაში იყო ადამიანი (წმ. იოანე ბოსკო), რომელიც მხარს უჭერდა მსგავს რამეს!

ახალი სასწავლო წელი დგება და სკოლას დიდი მოვალეობა აკისრია – მიაწოდოს მოზარდებს განზოგადებული და გაღრმავებული ცოდნა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ტექნიკაზე, რაც დღეს ასე აუცილებელია აქტიური ცხოვრების ფერხულში ჩასაბმელად, ახალი თაობის მოსამზადებლად, რაც ყველა იმ საზოგადოების მისიაა, ვისაც თვითგადარჩენა, ზრდა და ევოლუცია სურს. ჩვენი სურვილია, გონივრულად იქნეს გამოყენებული ამგვარი ტექნოლოგიები, და არ დავივიწყოთ, რომ მათ შეუძლიათ უზარმაზარი ბოროტების მოტანა და უკვე არსებული უთანასწორობის გამძაფრება სტუდენტებს, დოცენტებს, თაობებს შორის, გეოგრაფიულ და სოციალურ რეალობებს შორის. სულაც არ გვსურს, რომ ისეთ ეპოქაში, როცა ადამიანი იღვწის უფსკრულის შესამცირებლად ღარიბებსა და მდიდრებს შორის, მათ შორის, ვისაც მცირედი პენსია აქვს და ვისაც – უზარმაზარი შემოსავალი, ვისაც საჭმელი აქვს და ვისაც შია, ვისაც მკურნალობა შეუძლია და ვისაც – არა, ვისაც პატივს სცემენ საკუთარი აღმსარებლობის გამო და ვისაც – არა, მოქალაქეებსა და პოლიტიკოსებს შორის... „განათლებულებსა“ და „გაუნათლებლებს“ შორის, შეიქმნას ახალი თაობა - „ტექნოლოგიურად განათლებულები“ და „ტექნოლოგიურად გაუნათლებლები“. ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეიძლება წარმოქმნას თავად ტექნიკის დამოუკიდებლობის იდეა, როდესაც ადამიანი მხოლოდ ფორმაზე იფიქრებს და არ ითვალისწინებს მრავალ კითხვას, რისგანაც იღებს სამოქმედო ძალას. ტექნიკის აბსოლუტიზმი ბადებს იმის აღქმის უუნაროობას, რისი ახსნაც მატერიალურად უბრალოდ არ შეიძლება. მორწმუნეს შეუძლია, ტექნოლოგიაში იპოვოს ადამიანის პასუხი ღვთის მოწოდებაზე, რათა დამხმარე ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით მისცეს ფორმა და გარდასახოს ქმნილება, აგრეთვე საკუთარი თავიც. ნიმუში, რამაც შეიძლება ნათელი მოჰფინოს ქრისტიანობის პრეტენზიასა და როლს ციფრული კულტურის მისამართით, წინასწარმეტყველ ამოსის წიგნიდან არის ამოღებული: „ლეღვის მომკრეფი“ (7,14), რაც ბასილი დიდმა განმარტა შემდეგნაირად: ლოგოსი, ქრისტიანობა არის ერთგვარი კრეფა, რომელიც კულტურის მომწიფების საშუალებას იძლევა. ციფრული კულტურა უხვია ნაყოფით, რომელიც უნდა მოიკრიფოს, ხოლო მორწმუნე ქრისტიანი მოწოდებულია, რომ ლოგოსსა და ციფრულ კულტურას შორის შუამავლის როლი შეასრულოს და ასე იღვაწოს. ცხადია, ეს რთული დავალებაა, მაგრამ დღეს იგი ისე საჭიროა, როგორც არასდროს.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

XXI საუკუნის მოციქულები

„რწმენის ზეიმი“, – როგორც მოგვიანებით უწოდა ამ სასიხარულო მოვლენას უწმიდესმა პაპმა ბენედიქტე XVI-მ, 16 სექტემბერის საღამოს, მადრიდში, სიბელას მოედანზე გაიხსნა. წირვას, რომელიც მადრიდის მთავარეპისკოპოსმა ანტონიო მარია რუოკო ვარელამ აღავლინა, ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა დაესწრო. თუმცა, აქ მხოლოდ ახალგაზრდები როდი იყვნენ. ზეიმში მონაწილეობა 103 წლის მონაზონმა ტერესიტამაც მიიღო. მანამდე მონასტრის კედლები მან მხოლოდ ერთხელ, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს დატოვა.

ის სიხარული, რომელიც ესპანეთის დედაქალაქში სუფევდა, ვერც 17 აგვისტოს გამართულმა ანტიკლერიკალურმა დემონსტრაციამ გაანელა. დემონსტრანტთა აზრით, ასე რთულ ეკონომიკურ პერიოდში არაგონივრულია გადამხდელთა ფულის ხარჯვა პონტიფექსის ვიზიტზე. თუმცა, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ორგანიზატორთა განმარტებით, ზეიმის მოწყობაზე საბიუჯეტო სახსრები არ დახარჯულა: ხარჯების 80% მომლოცველთა მიერ გაღებულმა ფულადმა შენატანმა დაფარა, დარჩენილი 20% კი – კერძო პითა შემოწირულობებმა.

სანამ ერთნი აპროტესტებდნენ, მეორენი ლოცულობდნენ. უწმიდესი პაპი კი ამ დროს კასტელ განდოლფოში შეკრებილთ მისი მომავალი ვიზიტის წარმატებისთვის ლოცვას სთხოვდა: „როგორც იცით, ხვალ მადრიდში მივდივარ, რათა იქ მრავალ ახალგაზრდას შევხვდე. გთხოვთ, ჩემთან ერთად ილოცოთ. ეს მოვლენა ხომ ძალზე მნიშვნელოვანია ეკლესიისათვის“.

მადრიდს უწმიდესი პაპი 18 აგვისტოს, დღის 12 საათზე ეწვია. აეროპორტში პონტიფექსს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი, მისი მეუღლე სოფია, კარდინალი ანტონიო მარია რუოკო ვარელა და ესპანეთში წმიდა საყდრის დესპანი მთავარეპისკოპოსი რენცო ფრატინი შეხვდნენ.

„მე ჩამოვედი, როგორც პეტრეს მემკვიდრე, რათა რწმენაში განგამტკიცოთ და კიდევ ერთხელ გაუწყოთ, რომ იესო ქრისტე არის გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; რათა მოვუწოდო ახალგაზრდებს, გახდნენ ქრისტეს ერთგული მიმდევრები და უშიშარი მოწმენი“, – ამ სიტყვებით აღწერა უწმიდესმა პაპმა თავისი ვიზიტის მიზანი. საღამოს გაიმართა ბენედიქტე XVI-ის პირველი შეხვედრა ახალგაზრდობის 26-ე საერთაშორისო დღის მონაწილეებთან.

ვიზიტის მეორე დღეს უწმიდესმა პაპმა ნუნციატურის სამლოცველოში წირვა აღავლინა, შემდეგ კი მეფის სასახლისკენ გაემართა. მეფესთან შეხვედრის შემდეგ, უწმიდესი პაპი წმიდა ლორენცოს მონასტერს ეწვია, სადაც 294 კონგრეგაციის 1700 მონაზონს შეხვდა. საღამოს კი ახალგაზრდული დღეების მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ, ჯვრის გზა პაპთან ერთად გაევლოთ.

შაბათს, დილით, უწმიდესი პაპი რეტიროს პარკს ეწვია, სადაც საგანგებოდ მოწყობილ 200 კარავში 2500 მღვდელი 56 ენაზე ისმენდა აღსარებას. ერთ-ერთ კარავში პაპმაც ჩაიბარა ოთხი ახალგაზრდის აღსარება. შუადღისას, მადრიდის საკათედრო ტაძარში ბენედიქტე XVI ხუთი კონტინენტის სასულიერო სასწავლებელთა სტუდენტებს შეხვდა. დღის მეორე ნახევარში, ნუნციატურის შენობაში, უწმიდესი პაპი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ორგანიზატორებს შეხვდა. დღე კუატრო ვიენტოს აეროდრომზე დასრულდა – მწუხრის ლოცვით.

20 აგვისტოს, Cuatro Vientos აეროდრომზე, ამინდის სიურპრიზების მიუხედავად, ახალგაზრდები მოუთმენლად ელოდნენ უწმიდესი პაპის გამოჩენას. წინა დღის მომქანცველი სიცხე ქარმა და წვიმამ შეცვალა, მაგრამ დამსწრეთ სულის სიმხნევე არ დაუკარგავთ. „ამინდმა მართლაც გაგვაოცა. ძლიერ იწვიმა, მაგრამ ეს წვიმა ჩვენთვის მადლიანი იყო, განმწმედი. მან კიდევ უფრო მეტი მშვენიერება შესძინა იმ დროს, რომე-

ლიც პაპთან ერთად გავატარეთ“, – აღნიშნა ახალგაზრდობის დღის ერთ-ერთმა მონაწილემ.

აეროდრომზე შეკრებილი აუმრავი ახალგაზრდა უწმიდესი პაპის სიტყვას უსმენდა: „ჩემო ძვირფასებო, რამდენიმე საათია, ერთმანეთი არ გვინახავს და ამ დროის მანძილზე ბევრს ვფიქრობდი თქვენზე. იმედი მაქვს, ავდრის მიუხედავად, დასვენება მოახერხეთ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ღმერთი მუდამ ჩვენთან მყოფობს. ამ იმედით გამხნევებულებმა და რწმენით განმტკიცებულებმა, დავიწყოთ ჩვენი ევქარისტია.

უპასუხეთ უფალს ისეთი ერთგულებით, რომელიც მხოლოდ ყმაწვილის გულს შეუძლია: იესო, ვიცი, რომ ღმრთის ძე ხარ, რომ შენ სიცოცხლე მიეცი ჩემთვის... შენ მიცნობ და გიყვარვარ. მე გენდობი და მოგანდობ ჩემს სიცოცხლეს.

ჩემო ძვირფასებო, გევედრებით, გიყვარდეთ ეკლესია, რომელმაც რწმენაში გშობათ. იმისთვის რომ განმტკიცდეს თქვენი მეგობრობა ქრისტესთან, უნდა გააცნობიეროთ, რაოდენ მნიშვნელოვანია თქვენი მონაწილეობა ეკლესიის ცხოვრებაში, – თემთა და მოძრაობათა საქმიანობაში, ზიარება, აღსარება, ლოცვა, ღმრთის სიტყვის შესწავლა.

აუწყეთ მსოფლიოს ქრისტე და მისი სიყვარული. მას სურს, რომ სწორედ თქვენ გახდეთ XXI საუკუნის მოციქულები. ნუ გააწბილებთ მას“.

ამერიკის ქრისტიანები ანტიიმიგრაციული კანონის წინააღმდეგ

ჯორჯიის, იუტასა და ინდიანას კვალდაკვალ არიზონას შტატმაც მიიღო ანტიიმიგრაციული კანონი, რომელიც ამ შტატში პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება. აშშ-ს ეკლესიები, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და უფლებადამცავი ორგანიზაციები ანტიიმიგრაციული კანონის გაუქმებას მოითხოვენ.

როგორც ქალაქ მობილის (ალაბამა) მთავარეპისკოპოსი აღნიშნავს: „როგორც კანონის მოწინააღმდეგეები, ასევე მისი მომხრენიც აღიარებენ, რომ ალაბამას შტატის იმიგრაციული კანონი უმკაცრესია ქვეყნის ანალოგიურ კანონთა შორის. მაგალითად, ამ კანონის თანახმად, კათოლიკე მღვდელს ეკრძალება არალეგალური იმიგრანტის ნათლობა, აღსარების მიღება და ზიარება; ჩვენ უნდა ავუკრძალოთ მოზრდილებს წმიდა წერილის შემსწავლელ ჯგუფებში გაერთიანება, მოზარდებს კი საკვირაო სკოლაში სიარული; ეკლესიას ეკრძელება მათთვის სოციალური დახმარების გაწევა, იქნება ეს სამედიცინო დახმარება უნარშეზღუდულთათვის თუ ტანსაცმლის ან საკვების მიწოდება ღარიბებისთვის.

ეკლესია არ წყვეტს, ვინ უნდა ჩამოვიდეს ჩვენს ქვეყანაში და ვინ არა. მაგრამ ჩვენ ზნეობრივი პასუხისმგებლობა გვეკისრება მათ წინაშე, ვინც ჩვენთან მოვიდა. ამას ჩვენი რწმენა გვასწავლის. როგორც მოქალაქეებს, უფლება გვაქვს ვიცხოვროთ ქრისტიანული ცხოვრებით. როგორც ქრისტიანები, – ამის მოვალენი ვართ“.

კირკუკი. თავდასხმა კათოლიკურ ტაძარზე

„წმიდა ოჯახის სახელობის ტაძარი ძალზე ღარიბ უბანში მდებარეობს. დილით, ექვსის ნახევარზე, ეკლესიის კედელთან ნაღმი აფეთქდა. ეკლესიასა და საცხოვრებელ სახლებს შორის მანძილი არ არის დიდი. ბევრი სახლი დაინგრა, მანქანებიც დაიწვა. საავადმყოფოში დაჭრილები მოვინახულე. ქრისტიანებიც დაზარალდნენ და მუსლიმებიც. საშინელია ეს ყველაფერი. ეს თვე წმიდაა ჩვენი მუსლიმი ძმებისთვის. უდანაშაულოთა ხოცვა ამ თვეში განსაკუთრებით მძიმე ცოდვაა. რატომ სჩადიან ამას? გაუგებარია! საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა ხომ სხვაგვარადაც შეიძლება. ნაღმების და აფეთქებების გარდა სხვა საშუალებებიც არსებობს. იმედი მაქვს, რომ ეს თავდასხმა უკანასკნელი იქნება“, – ასე გამოხატა თავისი გულისტკივილი კირკუკის მთავარეპისკოპოსმა ლუის საკომ.

აფეთქება 2 აგვისტოს, დილით მოხდა. დაიჭრა ოცი ადამიანი, მათ შორის რამდენიმე მცირეწლოვანი. ეკლესიასთან ჩადებული კიდევ ორი ნაღმის გაუვნებელყოფა პოლიციელებმა შეძლეს.

ინდოეთი. ორისაში ტაძრების აღდგენა იკრძალება

ორისას შტატში ქრისტიანებს 2008 წლის თავდასხმების შედეგად დანგრეული ტაძრების აღდგენა ეკრძალებათ. აკრძალულია ასევე ახალი ტაძრების მშენებლობა.

ინდოეთის ქრისტიანთა გლობალურმა საბჭომ ადგილობრივ მთავრობას ამ აკრძალვების გაუქმება მოსთხოვა. ორგანიზაციის მიმართვაში ხაზგასმულია, რომ ამგვარი დადგენილებები ინდოეთის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

2008 წლის აგვისტოს ორისას შტატში ქრისტიანთა სასტიკი დევნა დაიწყო.

▶ 6 გვ.

◀ 5 გვ.

ამის საბაბი ინდუისტ რადიკალთა ლიდერის სვამი სარასვატის მკვლელობა გახდა. ლიდერის მკვლელობაში რადიკალებმა ქრისტიანები დაადანაშაულეს. ინდოეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა მონაცემებით, ანტიქრისტიანულ ძალადობას ორისაში ოთხმოცდაერთი ადამიანი ემსხვერპლა; დაინ-

გრა 4677 სახლი, 236 ტაძარი და 36 მონასტერი. 50 000 ქრისტიანი იძულებული გახდა, სამკვიდრო დაეტოვებინა და სხვა ადგილებში გახიზნულიყო.

„ვიპოვეთ წმიდა ფილიპეს სამარხი“

თურქეთიდან განცხადება გააკეთა საერთაშორისო არქელოგიური ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფრანჩესკო დ'ანდრიამ.

სავარაუდოდ, ნაპოვნია იმ მოციქულის სამარხი, რომელიც ისტორიაში შევიდა იესოს მიერ მის მიმართ გამოთქმული ცნობილი საყვედურით: „რა ხანია,



თქვენთან ვარ და ვერ მიცნობ, ფილიპე?“ (იოან. 14, 9). სამარხი ნაპოვნია დასავლეთ ანატოლიაში, კერძოდ კი პამუკალეში (Pamukkale), ანტიკურ ქალაქ ჰიერაპოლისში (Hierapolis), ქალაქში, სადაც, საბერძნეთსა და მცირე აზიაში მქადაგებლობის შემდეგ, მოციქული გარდაიცვალა.

ეს აღმოჩენა ეკუთვნის იტალიურ არქეოლოგიურ მისიას, რომელიც თავის საქმიანობას ჯერ კიდევ 1957 წელს შეუდგა და დღეს უკვე საერთაშორისო მასშტაბები მიიღო; მისიას თავმჯდომარეობს ქ. სალენტოს უნივერსიტეტის დოცენტი ფრანჩესკო დ'ანდრეა. წმიდა ფილიპეს სამარხის ძებნა დიდი ხანი გრძელდებოდა. პირველი მნიშვნელოვანი შედეგი ჯერ კიდევ 2008 წელს მიიღეს, როდესაც არქეოლოგებმა გამოამზეურეს (აღმოაჩინეს) პილიგრიმების მიერ მოციქულის სამარხამდე განვლილი გზა, რასაც, საბოლოოდ, წლევანდელ წელს – როგორც თურქეთიდან აღნიშნავს მისიის ხელმძღვანელი – „Martyrioni-ის (მარტირიონი, რვაკუთხა საკულტო ნაგებობა, რომელიც იმ ადგილზე აიგო, სადაც, სავარაუდოდ, აწამეს ფილიპე) გვერდით გამოიკვეთა V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა. ეკლესია I საუკუნის რომაული სამარხის შემოგარენშია აგებული; აშკარაა, რომ სამარხი უზომო მოწიწების საგანი იყო, რაკიღა მოგვიანებით მის ირგვლივ ბაზილიკის აგება გადაწყვიტეს. სამარხი წარმოდგენილია არა ორმოს სახით, არამედ ფოსოს მსგავსად, ბევრი ფრონტონით და დამკრძალავი ოთახებით, ასევე, ერთმანეთთან დაკავშირებული სხვადასხვა ელემენტით. „დავრწმუნდით, – დასძენს დ'ანდრეა, – რომ ამ აღმოჩენით ფილიპე მოციქულის სამარხი დავადგინეთ, რომელიც ოდესღაც მისსავე სახელთან დაკავშირებული პილიგრიმობის ცენტრი იყო“.

IV საუკუნეში, ევსევი კესარიელმა დაწერა, რომ ორი ვარსკვლავი კაშკაშებდა აზიაში: იოანე, ეფესოში დამარხული, და ფილიპე, „რომელიც ჰიერაპოლისში განისვენებს“. ფაქტობრივად, არანაირ ეჭვს არ იწვევს ის, რომ გალილეას ბეთსაიდელმა მოციქულმა, რომელიც რამდენიმე გნოსტიკური ხასიათის აპოკრიფული ტექსტის ცენტრში მოექცა, თავისი ცხოვრება ჰიერაპოლისში დაასრულა. ქალაქი დიდი ხნის მანძილზე ამაყობდა მისით და მისი ოთხი ქალიშვილით, რომლებიც, – თუკი ევსევის მონათხრობს ვერწმუნებით (ეკლესიის ისტორია, III, 39, 9), – წინასწარმეტყველური ქარიზმით იყვნენ დაჯილდოვებულნი. აქვე, არსებობს მოციქულის სიკვდილთან დაკავშირებული უკუვერსიები. ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის მიხედვით, იგი წამებით არ მომკვდარა, – ამ ვერსიას მხარს უჭერს ერაკლეონე, კლემენტე ალექსანდრიელის Stromatèis -ში (IV, 71, 3), – ხოლო აპოკრიფები მოგვითხრობენ, რომ ის რომაელებმა აწამეს (giulia galeotti).

მოამზადა რუსუდან ავალიშვილმა

რა კარგია ძმების ერთად ყოფნა!

წმ. მარიამის დღესასწაულს მთელ მსოფლიოში საუკუნეების მანძილზე დიდი ზეიმით აღნიშნავდნენ. IV-VI საუკუნეებში ის 6 აგვისტოს აღინიშნებოდა, მაგრამ დიდი ხანია, რაც მთელი მსოფლიოს კათოლიკეები მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს უკვე 15 აგვისტოს ზეიმობენ. ეს დღესასწაული ყოველი ქრისტიანისთვის უდიდესი მნიშვნელობისაა. მარიამი, თავისი ძის წყალობით, თითოეული ადამიანის შემწე და მეოხია.

როდესაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა მარიამს, რომ ღვთის ძის – ადამიანთა მხსნელის - დედა უნდა გამხდარიყო: „გიხაროდეს, მიმადლებულო, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ შენ დედათა შორის“ (ლუკ. 1,28), შეშფოთებულმა მარიამმა უპასუხა: „როგორ იქნება ეს, როცა მე მამაკაცი არ ვიცი?“ (ლუკ. 1, 34). მიუგო ანგელოზმა მარიამს: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და მაღლის ძალა მოგიჩრდილავს. ამიტომ წმიდა შობილი იწოდება ღვთის ძედ“ (ლუკ.1,35), მას ერთი წუთითაც არ უყოყმანია, უდრტვინველად და სიხარულით მიიღო ღვთის ეს უდიდესი წყალობა: „აჰა, უფლის მხევალი ვარ. მეყოს მე შენი სიტყვისამებრ“ (ლუკ. 1, 38).

მშობიარობის დღე ახლოვდებოდა, მარიამი და იოსები ეძებდნენ ადგილს, სადაც ყრმა დაიბადებოდა, მაგრამ ვერსად ვერ იპოვეს იგი, მაშინ ბეთლემში ერთ ბოსელს მიაშურეს, სადაც სიღარიბეში, ცხოველებს შორის შვა მარიამმა თავისი პირმშო – ქვეყნიერების მხსნელი.

მარიამმა იცოდა, თუ რა მძიმე ტანჯვა ელოდა მის შვილს ჯვარზე სიკვდილით, მაგრამ მან მიიღო ეს მძიმე ტვირთი. იგი შვილს გვერდით ედგა ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, იცოდა, რომ იესო თავისი ჯვარცმით იხსნიდა კაცობრიობას ცოდვისაგან.

მარიამი ძალიან იტანჯებოდა თავის შვილთან განშორების გამო და ამ მწუხარებაში გარდაიცვალა, მაგრამ მისი სხეული უხრწნელი იყო და სულითა და ხორცით ამაღლდა იგი ზეცას.

მარიამი თავისი ქმედებით გვასწავლის, რომ ვიყოთ მომთმენნი, დავძლიოთ ყოველგვარი ტანჯვა, ისევე როგორც მან შეძლო ეს თავისი შვილის სიკვდილის წუთებში – ჯვართან.

ეს ის სიტყვებია, რითაც მამა იეჟი პილუსმა მოგვმართა 15 აგვისტოს, მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში საზეიმო წირვის დროს.

15 აგვისტო კათედრალური ტაძრის დღესასწაულია, ამიტომ მას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მარიამის ზეცად აღყვანების ტაძრის მრევლისთვის. ამ დღეს წმიდა წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. ეკლესიის მრევლთან ერთად, წირვაში თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მრევლიც იღებდა მონაწილეობას და მათთან ერთად იზიარებდა ამ დღესასწაულის მადლსა და მასთან დაკავშირებულ სიხარულს. იყვნენ სხვა სტუმრებიც, ისინი, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მარიამობის დღესასწაული.

წირვის დასრულების შემდეგ ყველამ ერთად ვილოცეთ სავარდი საკათედრო ტაძრის ეზოში მდგარ ღვთისმშობლის ქანდაკებასთან.

ვილოცოთ, რომ მარიამმა დაისადგუროს ჩვენს გულებში, ვიყოთ მისი საყვარელი შვილები და მასთან ერთად ავმაღლდეთ ზეცას.

მაია ანთიძე

P.S.

მანამდე კი – 14 აგვისტოს, ტრადიციისამებრ, კათედრალური ტაძრის მრევლის წევრები, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და ტაძრის წინამძღვარ, მამა ანდრეი გრაჩეკის თანხლებით, წეროვანში გაემგზავრნენ, რათა შეეგრძნოთ ერთად ყოფნის სიხარული და სულიერად მომზადებულნი შეხვედროდნენ მომდევნო დღეს – მარიამობას, „ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ

▶ 8 გვ.

◀ 7 გვ.

შორის“ (მათ. 18, 20).

აღსანიშნავია, რომ წეროვანში შეხვედრები მეტად მნიშვნელოვანია მრევლისთვის: ეს დღე, როგორც ჩვეულებრივი კვირა დღე, წმ. წირვით დაიწყო, რომელიც შეიძლება უფრო მეტი ბრწყინვალეებით აღსრულებულიყო ტაძარში, მაგრამ ბუნებაში, წიწვოვანი ხეებით გარშემორტყმულ არენაზე ჩატარებულ წირვას უფრო მეტი დატვირთვა შესძინა იმის გაცნობიერებამ, რომ ისინი მთელ დღეს ერთად გაატარებდნენ, ერთად გაერთობოდნენ, ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ, იცეკვებდნენ, იმღერებდნენ და ერთად გაიზიარებდნენ ტრაპეზს.

კარგი იქნება, თუ სხვა საკრებულოებიც გაიზიარებენ კათედრალური ტაძრის გამოცდილებას და თავიანთი ეკლესიის დღესასწაულის წინა დღეს ერთად გაატარებენ.

როგორც ფსალმუნი გვასწავლის: „აჰა, რა კარგია და რა საამურია, ერთად რომ ცხოვრობენ ძმები!“ (ფს. 132).

რედაქცია

მესხეთის კათოლიკური საკრებულოები

ხიზაბავრა

იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული

23 ივნისს ხიზაბავრის საკრებულომ იესოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული იზეიმა. ჩვენი სამრევლოსთვის ეს დღე განსაკუთრებულია. წელს კი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ჩვენი საკრებულოს ორმა ბავშვმა კატეხიზაციის სრული კურსი გაიარა და პირველი ზიარება მიიღო. მრევლის სახელით, ვულოცავ მათ ღმერთთან ზიარებას და ვუსურვებ რწმენაში ზრდასა და განმტკიცებას.

აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მოძღვარმა, მამა პაატა ქომოშვილმა დიდი მონდომებით მოამზადა გოგონები ამ დღისთვის. წმ. წირვის დასრულების შემდეგ, გაიმართა საზეიმო პროცესია, რომელიც ეკლესიის ეზოდან დაიწყო და, მთელი სოფლის გავლით, ისევ ეკლესიის ეზოში დასრულდა. პროცესიას წინ

უძღოდნენ თეთრ კაბებში გამოწყობილი გოგონები, რომლებიც ყვავილების ფურცლებს ძირს მიმოაბნევდნენ.

ცერემონიის დასრულების შემდეგ, მამა პაატამ ყველანი დაგვლოცა და ბედნიერი კვირა გვისურვა.

იესოს ღმრთაებრივი გულის დიდდღესასწაული

2011 წლის პირველ ივლისს, ხიზაბავრის საკრებულომ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ კათოლიკეებთან ერთად, იესოს ღმრთაებრივი გულის დიდდღესასწაული იზეიმა. მოწვეული იყო ყველა კათოლიკური საკრებულოს მოძღვარი, თავიანთ მრევლთან ერთად.

ხიზაბავრის უმშვენიერესი ტაძარი მორთული იყო ფერადფერადი ყვავილებითა და წითელი გულებით, ნიშნად იესოს მოსიყვარულე და ღმრთაებრივი გულისა. ეკლესიის მორთვა და სტუმრების დახვედრა მამა პაატა ქომოშვილმა და სოფლის ახალგაზრდებმა ითავეს.

დღესასწაულზე დასასწრებად უამრავი სტუმარი ჩამოვიდა ხიზაბავრაში, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული ჩვენი საყვარელი ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო იყო. მამა ჯუზეპემ ყველას მთელი გულით მოგვილოცა დღესასწაული და დაგვლოცა.

წმიდა წირვა ეპისკოპოსმა აღავლინა, სხვა მოძღვრებთან ერთად. ზეიმს ხიბლს მატებდა ისიც, რომ ამ დღეს ორი ახალგაზრდა მირონცხების საიდუმლოს ეზიარა, რითაც უფრო განამტკიცა საკუთარი რწმენა. მეუფე ჯუზეპემ მირონცხებულ ახალგაზრდებს მოუწოდა, ეცხოვრათ სიწმინდით, რომ მათი გულები სიყვარულით ყოფილიყო სავსე და სულიწმიდას დაევანა მათში.

ქადაგებაში ეპისკოპოსმა ყველას მოგვიწოდა, გვეცხოვრა იესოს მსგავსად: ჩვენი ცხოვრება უნდა იყოს სუფთა, სიყვარულით სავსე; უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის პატიება, მიტევება და თანადგომა; ეს კი სიყვარულია და მეტი არაფერი.

წირვის დასრულების შემდეგ, მეუფეს მადლობა გადავუხადეთ მობრძანებისთვის, ჩვენი დამოძღვრისა და იმ გულთბილი და მამობრივი სიყვარულისთვის, რასაც მისგან ყოველთვის ვგრძნობთ საქართველოს კათოლიკეები. ჩვენი მისდამი სიყვარულის ნიშნად კი სიმბოლური საჩუქარი გადავეცით.

დასრულდა წმ. წირვა, მაგრამ ზეიმი გაგრძელდა: ახალგაზრდებმა და ბავშვებმა პატარა კონცერტი გაუმართეს მობრძანებულ სტუმრებსა და მრევლის წევრებს; შემდეგ გაიშალა სუფრა მრავალფეროვანი კერძებით. ზეიმი საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ლამაზმა კონცერტმა დაასრულა.

სტუმრებს გზა დავულოცეთ და ბედნიერი მგზავრობა ვუსურვეთ. მადლობა უფალს, რომ ერთად შეგვკრიბა სხვადასხვა ეროვნების – ქართველი და სომეხი – კათოლიკეები.

ორპირის დაუვიწყარი დღეები

10 ივლისს ხიზაბავრის, ვალესა და არლის საკრებულოს ბავშვები და მოზრდილები, მამა პაატა ქომოშვილთან და ანიმატორებთან ერთად, ორპირისკენ გავემგზავრეთ. იქ დაუვიწყარი დღეები გავატარეთ, ერთმანეთს უფრო მეტად დავუმეგობრდით და ახალი ნაცნობ-მეგობრებიც გავიჩინეთ. ჩვენი ბანაკის დევიზი ასეთი იყო: „ვიცხოვროთ სიყვარულით“.

დროს ლამაზად და შინაარსიანად ვატარებდით. მამა პაატა მართავდა კონფერენციებს, ვაწყობდით ჯგუფურ მუშაობასა და ექსკურსიებს, მხიარულ გასართობ შეჯიბრებებსა და ინტელექტუალურ თამაშებს.

ორპირში ყოფნის პერიოდში, მოვინახულეთ გელათის ტაძარი, მოწამეთა, ბაგრატის ტაძარი და პრომოთეს მღვიმე, რამაც ძალიან გაგვაოცა და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს ცნობიერებაში. ვიყავით თვალწარმტაც რაჭაშიც. მონუსხულნი შევყურებდით დიდებულ ნიკორწმინდას და დიდი გალაკტიონის სიტყვები ხმიანობდა ჩვენს მეხსიერებაში: „რა ხელმა ააგო...“. ნიკორწმინდას ხილვით აღფრთოვანებულებმა, შაორის ტბას მივაშურეთ და მთელი დღე მის ტალღებში ვილივლივეთ. ორპირში გვიან დავბრუნდით დაღლილები, მაგრამ ბედნიერები და გარუჯულები. მალე ყველანი დასაძინებლად გავეშურეთ, რადგანაც მომდევნო დღეს მხიარული სტარტები და ინტელექტუალური თამაშები გველოდა.

იმ დღეს გამარჯვებულები მამა პაატამ პირველი ხარისხის სიგელებით დააჯილდოვა, დანარჩენ მონაწილეებს კი – მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის სიგელები გადასცა, ხოლო ანიმატორებს, აქტიური მონაწილეობისა და ბავშვებთან გაწეული მუშაობისათვის, სპეციალური სიგელები გადმოგვცა.

ყველას სახელით, დიდ მადლობას მოვახსენებ მამა პაატას თავისი დაუღალავი შრომისა და ენერგიისათვის და იმისთვის, რომ ასეთი ლამაზი და დაუვიწყარი დღეები გვაჩუქა.

ფიქრია მექოშვილი

მესხი ბავშვები ორპირში

ზაფხულის არდადეგების ორპირში გატარება და საზაფხულო ბანაკების მოწყობა უკვე ტრადიციად იქცა მესხეთის კათოლიკური საკრებულოების ბავშვებისა და მოზარდებისათვის. ეს ტრადიცია წელსაც გაგრძელდა. ბავშვთა სიმრავლის გამო, მათი ბანაკში წასვლა მხოლოდ ექვს ნაკადად მოხერხდა. აღსანიშნავია, რომ წელს ბანაკში სულ 10-15 წლის ასაკის ორას ორმოცდაათამდე ბავშვმა დაისვენა. დრო რომ უფრო მხიარულად და ნაყოფიერად გაეტარებინათ, ბავშვები ასაკის მიხედვით დაჯგუფდნენ. მათზე ზრუნვა და ხელმძღვანელობა მამა ზურაბ კაკაჩიშვილმა, მამა მიხეილ სურმავამ და მამა პაატა ქომოშვილმა მორიგეობით იტვირთეს. მოძღვრებს ანიმატორები და ლიდერები ვეხმარებოდით.

ყოველი დღე წმ. წირვით იწყებოდა, წირვას საუზმე მოსდევდა, მერე სახლის დალაგება-დასუფთავება და შემდეგ იწყებოდა სახალისო, მხიარული, სპორტული, ინტელექტუალური, თეატრალური და მუსიკალური გართობა-შეჯიბრებები ჯგუფებს შორის.

ბანაკი ექვსდღიანი იყო, აქედან ორი დღე ექსკურსიებს ეთმობოდა. ბავშვებმა მოინახულეს რაჭა, სადაც დატკბნენ ბუნების მშვენიერებით, გაოცებულნი იყვნენ ნიკორწმიდას ტაძრის დიდებულებითა და

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ.

განუმეორებელი ჩუქურთმებით; ბავშვებმა შაორის ტბაზეც კარგად მოილხინეს, იბანავეს და მზეზე გარუჯვაც მოასწრეს.

ექსკურსიის მეორე დღე დაეთმო გელათის, მოწამეთას, ბაგრატის ტაძრების მონახულებას, ვეწვიეთ ქუთაისის ხარების ეკლესიას, ყოფილ კათოლიკურ ტაძარს. პრომეთეს მღვიმის დათვალიერებისას, ბავშვები აღტაცებას ვერ მალავდნენ. აღსანიშნავია, რომ პრომეთეს უძველესი და ულამაზესი მღვიმე ახლახანს გახსნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

ექვსმა დღემ თვალის დახამხამებაში გაირბინა. ბავშვებს ეძნელებოდათ ერთმანეთთან განშორება, მაგრამ იმ იმედით დაემშვიდობნენ ერთმანეთს, რომ მომავალ ზაფხულს კვლავ ერთად გაატარებდნენ.

თამარ ჩიტაშვილი

წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მგალობელთა გუნდი კახეთში

2011 წლის პირველი აგვისტოა, ზაფხულის მცხუნვარე მზე ათბობს არე-მარეს და ცისფერ, ლაჟვარდოვან ცაზე აქა-იქ თოვლივით ქათქათა, ბამბის ფთილებივით ლამაზი ღრუბლები დაცურავენ. მიუხედავად მზის მწველი სხივებისა, ნაზი სიოს ქროლვა ცოტათი აგრილებს ზაფხულის ამ მშვენიერ დღეს. თვალს გვტაცებს ბუნების სიმშვენიერე, რომელიც ამწვანებული ხეებითა და ლამაზი, ფერად-ფერადი ყვავილებით კეკლუცობს ჩვენს თვალწინ. სწორედ ამ ლამაზ და თვალწარმტაც დღეს, წმ. წირვის შემდეგ, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის მგალობელთა გუნდი, მამა ადამის ინიციატივით, კახეთისკენ, კერძოდ კი ლაგოდეხის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის – ხიზაბავრისკენ გავეშურეთ.

ხიზაბავრაში ჩასულებმა, პირველად წმ. ნინოს ეკლესია მოვილოცეთ. ეკლესიის ხილვამ და ლოცვამ თითოეულ ჩვენთაგანს ღრმა სულიერი სიმშვიდე მოგვგვარა.

ჩვენი შეხვედრის მიზანი იყო გალობითა და მხურვალე ლოცვით ღმერთთან მიახლოება, რწმენის განმტკიცება. საკითხავები წმიდა წერილიდან და ქადაგებები ყველას აძლევს შანსს, აირჩიოს სწორი, ჭეშმარიტი გზა, გაჰყვეს იესოს და გახდეს მისი მსახური.

კახეთში გატარებული ყოველი დღე ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო: დილის ქებანი, წმ. წირვა, ფსალმუნთა გალობა, ევქარისტია და თაყვანისცემა. წმიდა წირვის შემდეგ კი გვქონდა რეპეტიციები. ვხვეწდით ძველ გალობებს და ვსნავლობდით ახლებს.

ყოველდღე გავდიოდით ბუნებაში: ტყეში ვუსმენდით ჩიტების გალობას, რაც, ფოთლების შრიალთან და ნაკადულების რაკრაკთან ერთად, საოცარ მუსიკას ქმნიდა და ჩვენს სმენას ატკბობდა.

ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, ვესტუმრეთ მეზობელ სოფელ ხიზას, სადაც მამა ადამმა წმიდა წირვა აღავლინა ადგილობრივი მრევლისთვის, რომელშიც ჩვენი გუნდიც მონაწილეობდა. მამა ადამმა ქადაგებაში აღნიშნა, რომ ღვთის სიტყვის მოსმენა სულიერი სიმშვიდის მომგვრელია ყველასთვის, მათთვის, ვინც რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობს და მიჰყვება იესოს.

ასე გადიოდა დღეები, საღამოობით კი რელიგიური ხასიათის ფილმებს ვუყურებდით და ვმსჯელობით ნანახის ირგვლივ.

ექვსმა დღემ ისე სწრაფად გაირბინა, რომ არც ერთ ჩვენგანს ოდნავი დაღლაც კი არ გვიგრძვნია, პირიქით, სულიერად უფრო ავმაღლდით და გავძლიერდით.

მხურვალე ლოცვით შევთხოვ უფალს, რათა სოფელ ხიზაბავრის ეკლესიას ჰყავდეს ჭეშმარიტად ქრისტიანი, მორწმუნე მრევლი. და, რაც მთავარია, ბავშვებში გაიღვიძოს რწმენამ, ქრისტემ მიიზიდოს ისინი თავისკენ და სუფევდეს მათში სასოება, სიყვარული, სიმშვიდე და სწრაფვა ჭეშმარიტებისაკენ.

მაია ანთიძე

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიოს I

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ №7, №8)

(867 წლის ზაფხული)

867 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, ზემოთ აღნიშნული ფაქტებით წაქეზებულმა პატრიარქმა კონსტანტინოპოლში დიდი კრება მოიწვია, რომელსაც იმპერატორები – მიხეილ III და ბასილი I თავმჯდომარეობდნენ; ამ ფაქტმა სათავე დაუდო კონსტანტინოპოლსა და რომს შორის ფორმალურ გახლეჩას, ეს კი იმ ჟესტმა განაპირობა, რაც აქამდე ვერავინ გაბედა: ფოტიოსმა ბრალი დასდო პაპ ნიკოლოზს. თუმცა, ოფიციალური აქტების არარსებობის გამო, ამის შესახებ ნაკლებად მოგვეპოვება ინფორმაცია. ცხადია, კრებაში ბიზანტიის საეპისკოპოსოს მონაწილეობა მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა რომ მოგვიანებით საპირისპირო ითქვა. ფოტიოსს სულაც არ გასჭირვებია, რომის წინააღმდეგ ძლიერი გუნდის შეკვრა, რადგანაც საკმარისად ჰყავდა მხარდამჭერები, მის მიერ დანიშნული ეპისკოპოსები, რომლებიც მისადმი კეთილგანწყობილნი იყვნენ; ასე გამოუცხადეს ანათემა წმიდა საყდრის მეთაურს, გაიცხეს და კავშირი გაწყვიტეს მასთან; ასევე ცდილობდნენ, პაპის წინააღმდეგ აემხედრებინათ „ფრანგების მეფე“ და მისი პატარძალი (ანუ იმპერატორი ლუდოვიკო II და ენგელბერგა), ისიც კი აღუთქვეს, რომ კონსტანტინოპოლი მათ იმპერატორებად სცნობდა, თუკი ნიკოლოზს თავიანთი ეკლესიიდან განდევნიდნენ. ამ გადაწყვეტილების ერთი ასლი აღმოსავლეთის პატრიარქს გაეგზავნა; ამასობაში, საბერძნეთის ორი ეპისკოპოსი, ზაქარია ქალკედონელი და თეოდორე ლაოდეკიელი იტალიაში მიეშურებოდნენ კრების აქტების წასაღებად.

რომის პაპის, ნიკოლოზ I-ის სიკვდილი

ეს აქტები ნოკოლოზმა ვეღარ მიიღო, მან მხოლოდ ნაწილობრივ შეიტყო კონსტანტინოპოლის რეაქციის შესახებ. მაგრამ ის, რაც მან გაიგო, ცხადია, ბულგარეთში თავისი წარმომადგენლების მიერ, და ალბათ თავად ფოტიოსის ენციკლიკით, საკმარისი აღმოჩნდა მოახლოებული საფრთხის გასათვალისწინებლად. საფრთხე თავისთავად იმაში მდგომარეობდა, რომ იმპერატორ ლუდოვიკოსთან ბერძნების კავშირს შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყოლოდა, რაც რომის ეკლესიის პრესტიჟს ჩრდილს მიაყენებდა. აღმოსავლეთიდან წამოსული ბრალდებები დასავლეთში უხმაუროდ არ ჩაივლიდა. მიუხედავად იმისა რომ პაპს ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა, მას ძალა ეყო, 867 წელს თავის კლერთა შორის ძლიერი გუნდი შეერჩია ბერძნების წინააღმდეგ; ამას კაროლინგების იმპერიის ყველა თეოლოგიური ძალის გენერალური მობილიზება მოჰყვა, მაგრამ პაპი ნიკოლოზ I 13 ნოემბერს გარდაიცვალა; ასე რომ მან ვერაფერი შეიტყო შედეგებზე, და ვერც იმ მძიმე მოვლენებზე, რასაც 24 სექტემბრიდან ადგილი ჰქონდა კონსტანტინოპოლში, როცა ლათინებისთვის პასუხის გაცემას უკვე აზრი აღარ ჰქონდა.



ფოტიოსის პირველი გადაყენება ტახტიდან

კრებაზე, რამდენადაც იგი ნიშანდობლივი პოლიტიკური ცვლილებების გარიჟრაჟზე შედგა, რადიკალური გადაწყვეტილებები ნამდვილად არ მიუღიათ. კრების დასრულებიდან სულ მოკლე ხანში ისეთი რამ მოხდა, რამაც ბიზანტიის იმპერიის ბედი შეცვალა. 23-24 სექტემბრის ღამით, მიხეილ III თავისმა დაცვამ მოკლა (ასევე მოკლეს ბარდაც), მომდევნო დღეს კი მისი ადგილი მისმა მკვლელმა, ბასილი I ბიზანტიელმა (867-886) დაიკავა; იგი მაკედონიის დინასტიის დამაარსებელი გახლდათ. ბასილმა პირველივე დღიდან გაამჟღავნა საკუთარი განზრახვა თავისი წინამორბედის პოლიტიკური კურსის შეცვლის თაობაზე; მან ყველა დაითხოვა, ვისაც მიხეილის დროს მაღალი თანამდებობა ეკავა და მათ ადგილზე მისდამი ნდობით აღჭურვილი პირები დანიშნა; იგი დასაყრდენს ეძებდა ასევე წინანდელი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა რიგებში. ყოველივე ამან, და იმ ფაქტმაც, რომ მან რომთან ურთიერთობის გაუმჯობესება მოინდომა, – რაც ასე ისურვეს წმიდა პეტრეს ტაძარში 869 წელს შემდგარ სინოდზე, – გამოიწვია ფოტიოსის გადაყენება, რომელმაც მიხეილის სახით მნიშვნელოვანი მომხრე დაკარგა; სამაგიეროდ, მოხდა ეგნატეს რეინტეგრაცია თავისი ძველი საპატრიარქო უფლებებით. აქ არ მოვყვებით ორგზის მკვლელი იმპერატორის, ბასილის საქციელის რელიგიურ მოტივებზე საუბარს; ასეა თუ ისე, ამ ვითარებიდან ანტიკურმა რომმა თავისი სარგებელი ნახა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. სარწმუნოების, დისციპლინარულ და ზიარების საკითხში რომი უკანასკნელ ინსტანციად რჩებოდა. იმპერატორი და ეგნატე წერილს სწერენ პაპს, ადრიანე II-ს (867-872), ამცნობენ მიმდინარე ცვლილებათა შესახებ და იქვე მოითხოვენ პაპის ლეგატების გამოგზავნას ეკუმენურ კრებაზე დასასწრებად, რომლის ჩატარებასაც კონსტანტინოპოლში გეგმავენ.

კრების პირველი ნაწილი (ოქტომბერ-ნოემბერი, 869 წ.)

კრება გაიხსნა 869 წლის 5 ოქტომბერს, რომელსაც მხოლოდ ხუთი მიტროპოლიტი და შვიდი ეპისკოპოსი ესწრებოდა (ვინაიდან კრებაზე მხოლოდ ეგნატეს ერთგული ეპისკოპოსები დაუშვეს); აქვე იყვნენ ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს დელეგატებიც (ალექსანდრიიდან მხოლოდ მეცხრე სესიაზე ჩამოვიდნენ დელეგატები). საზეიმო გახსნაზე იმპერატორმა ბასილი I-მა გამოთქვა სურვილი, რომ სასურველ კომპრომისებზე წავიდოდა და მშვიდობიან პოლიტიკას გაატარებდა ფოტიოსის მიმდევრების მიმართ, რითაც თავიდან აიცილებდა კიდევ ერთ საფრთხეს; აქვე, რომაული პრეტენზიების მიუხედავად, მან აღნიშნა, რომ უნდა განახლებულიყო ფოტიოსისა და მისი მხარდამჭერების საქმის განხილვა.

მას შემდეგ, რაც კრების წევრებმა მიიღეს Libellus satisfactionis, გადაწყდა, რომ ასამბლეაზე ფოტიოსს ვერ გაამართლებდნენ, მისი უშუალო მოწვევისა და მოსმენის გარეშე. კრების მეორე სესიაზე (7 ოქტომბერი) დაუშვეს ჯერ ეგნატეს მიერ ხელდასხმული, და შემდეგ ფოტიოსის მხარეზე გადასული ეპისკოპოსები; მეოთხე სესიაზე (18 ოქტომბერი) ფორმალურად მოითხოვეს ფოტიოსის აუდიენცია; ამ მოთხოვნას უფრო აძლიერებდა საიმპერიო ლეგატების მუქარა, რომ სინოდის აქტებს ხელს არ მოაწერდნენ. პაპის ლეგატები იძულებულნი იყვნენ, დათმობებზე წასულიყვნენ. 20 და 25 ოქტომბრის სესიებზე, მაშინ როცა ფოტიოსი დუმდა, მისი მხარდამჭერები თავგამოდებით იცავდნენ თავს და ილაშქრებდნენ Libellus satisfactionis წინააღმდეგ, რამეთუ მას დამამცირებლად მიიჩნევდნენ. თუმცა ამას კრების მონაწილეთა ურთიერთობაზე ცვლილება არ მოუხდენია, ასე რომ VI სესიის დასასრულს (25 ოქტომბერი), ფოტიოსი და მისი მომხრეები საჯაროდ გაიცეხეს, რითაც რომის სურვილიც დააკმაყოფილეს. მომდევნო სესიაზე (29 ოქტომბერი) ისინი გადაყენეს და ანათემას გადასცეს, ხოლო VIII სესიაზე (5 ნოემბერი) დაწვეს 867 წლის კრების აქტები და ფოტიოსის ნაწერები რომის წინააღმდეგ.

კრების მეორე ნაწილი (870 წ., თებერვალი)

ამის შემდგომ, კრებამ სამი თვის მანძილზე თავისი საქმიანობა შეწყვიტა. მიზეზებზე არაფერი თქმულა, თუმცა ლომის წილი კრების დახურვაში Libellus satisfactionis-ით გამოწვეულ მღელვარებას ედო: ბიზანტიის ეპისკოპოსთა უმრავლესობა ფოტიოსის მხარეზე იყო და რომის ქმედება მათთვის იმდენად მტკივნეული იყო, რომ რამდენიმე ეპისკოპოსი, ვინც Libellus-ს ხელი მოაწერა, მის ხელში ჩაგდებას და დაწვას ცდილობდა. კრება IX სესიაზე განახლდა, 870 წლის 12 თებერვალს. მონაწილეთა რიცხვი გაიზარდა და 67-ს მიაღწია, მათ შორის იყვნენ ალექსანდრიის საპატრიარქოს ლეგატები, რომლებიც მაშინვე მიემხრნენ კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. დასკვნითი სესია (28 თებერვალი), რომელსაც ას ოთხი ეპისკოპოსი ესწრებოდა, აშკარად არამეგობრულ გარემოში წარიმართა: აქ იყო ლუდვიგ II-ის დესპანი გერმანიიდან, ასევე, ანასტასიუს ბიბლიოთეკარი (Aanastasio Bibliotecario), იყვნენ ბულგარეთის მეფის, ბორისის წარმომადგენლები; მათ განსახილველად გამოიტანეს საკუთარ ტერიტორიაზე საეკლესიო იურისდიქციის საკითხი. კრების ამ ფორმატში შედგა საბოლოო აქტები: მიიღეს 26 დოგმატური და დისციპლინარული ხასიათის კანონი. ეს კანონები სხვადასხვა თემატიკას ეხებოდნენ, მათ შორის, რომის პრიმატს და პენტარქიას (კან. 21), ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის კავშირებს. კრების გადაწყვეტილებით, ფოტიოსი ბოსფორის ერთ-ერთ მონასტერში გამოკეტეს, სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ხერსონი, ყირიმში.

869-870 წლებში გამართულმა კრებამ, ფაქ-

ტობრივად, დაარღვია ბიზანტიის საეპისკოპოსოში გამეფებული ერთსულოვნება. გარდა ამისა, კრების მომდევნო დღეს, ბასილი I-ის მიერ ბულგარეთის საკითხის განსახილველად არჩეულმა აღმოსავლეთის საპატრიარქოს ლეგატებმა კონსტანტინოპოლს მიანიჭეს უფლება, იურისდიქცია გაევრცელებინა ბულგარეთის ეკლესიაზე, რამაც პაპის ლეგატები განარისხა. სულ მალე პატრიარქი ეგნატე ბულგარეთის მთავარეპისკოპოსად გამოაცხადეს. პაპმა ადრიანე II-მ კრების აქტები ანასტასიუს ბიბლიოთეკარის მიერ ლათინურ ენაზე შესრულებული თარგმანის წყალობით შეიტყო, ვინაიდან ბერძნულენოვანი აქტები დაიკარგა. პაპმა იმპერატორს 871 წლის ნოემბრით დათარიღებული წერილით უპასუხა; იგი ფორმალურად მხარს უჭერდა კრებას, მიუხედავად ბულგარეთის საკითხის მიმართ გამოხატული პროტესტისა. კრება სულ მალე რომში VIII ეკუმენურ კრებად აღიარეს (ასეცაა მოხსენებული პაპის, იოანე VII-ეს წერილში, 875 წ); თუმცა კონსტანტინოპოლში რომის პაპის ავტორიტეტი ჯერ კიდევ 871 წლიდან დაეცა, ვინაიდან ფოტიოსს მრავლად ჰყავდა მხარდამჭერი; ეს ძალზე აწუხებდა ბიზანტიის მთავრობას, რომელსაც საბოლოო სიმშვიდის მიღწევა სურდა. ამგვარ პოლიტიკას მისდევდნენ კრების შემდგომ ათწლეულებში: ასე რომ, ფოტიოსის ცნობილი მომხრეები ბულგარეთში გააგზავნეს მისიით, ხოლო თავად ფოტიოსი სასახლეში გამოიძახეს, სადაც იგი იმპერატორის შვილების აღმზრდელად დაინიშნა.

პატრიარქ ფოტიოსის მეორე მანდატი

877 წელს პატრიარქი ეგნატე გარდაიცვალა და დღის წესრიგში დადგა საკითხი მისი მემკვიდრის მოძებნისა. ბასილი I ბიზანტიელმა გადაწყვიტა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქად ფოტიოსი დაესახელებინა, რაკიღა იგი კვლავაც პოპულარულ ფიგურად რჩებოდა დედაქალაქში და შერიგებაც კი მოესწრო ეგნატესთან. მანამდე კი, ბასილი I-მა რომს მიმართა და პაპ იოანე VII-გან ლეგატები გამოითხოვა ბიზანტიის ეკლესიასთან საბოლოო მშვიდობის დამყარების მიზნით შემდგარ კრებაზე დასასწრებად. ჩავიდნენ თუ არა პაპის ლეგატები კონსტანტინოპოლში, მათ მიმართეს არა ეგნატეს, არამედ ფოტიოსს, და რომისგან ახალი ინსტრუქციები მოითხოვეს; ხოლო ბასილი I პაპისგან მოითხოვდა ფოტიოსის პატრიარქად აღიარებას და მასთან თანაზიარებას.

პაპმა იოანე VII-მ, რომელსაც, სხვათა შორის, ბიზანტიის დახმარება სჭირდებოდა სარაცინების (saraceni) შემოტევების წინააღმდეგ, 879 წლის აგვისტოში გადაწყვიტა, დათანხმებოდა კონსტანტინოპოლის მოთხოვნას, მაგრამ გარკვეული პირობებით: კერძოდ, ფოტიოსს პატიება უნდა ეთხოვა წარსულში თავისი საქციელის გამო, ხოლო ბულგარეთზე იურისდიქცია უნდა გაევრცელებინა რომს. ცხადია, ამ მოთხოვნებს კონსტანტინოპოლი არ დათანხმდებოდა. ამასთანავე, როდესაც ფოტიოსი იმპერატორისთვის ბერძნულად თარგმნიდა პაპის ბულას, მან მთლიანად თავის სასარგებლოდ შეცვალა ის, ხოლო პაპის ლეგატი, რომელიც მას ამ ხრიკს მიუხვდა, დაატყვევა. ფოტიოსმა თავისი ტრიუმფის მწვერვალს კონსტანტინოპოლის კრებაზე მიაღწია (879-880), როდესაც მან ერთად შეკრიბა 869 წლის კრების გადაწყვეტილებები, როცა პატრიარქი იყო ეგნატე, და თავიდან განაახლა რომთან წამოჭრილი სამოძღვრო და საღვთისმეტყველო სადავო საკითხები.

კონსტანტინოპოლის კრება (879-880)

კრება შედგა წმიდა სოფიას ტაძარში, 879 წლის 17 ნოემბერს და გაგრძელდა 880 წლის 13 მარტამდე. თავიდან მასში სამას სამოცდათვრამეტი ეპისკოპოსი მონაწილეობდა, მათგან უმრავლესობა ფოტიოსის მომხრე იყო; აქვე იყვნენ რომის პაპისა და იერუსალიმის პატრიარქის ლეგატები. კრებაში არ მონაწილეობდა იმპერატორი. კრების გაძღოლა დაავალეს ფოტიოსს, ისევე როგორც ნიკეას II კრების წინამძღოლობა დაეკისრა პატრიარქ ტარასიუსს. კრების გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვებში პაპს მოუწოდებდნენ, რომ განდგომოდა მათ, ვინც ჯერ კიდევ განდგომილები იყვნენ (ეგნატეს მომხრეები) იმის გამო, რაც წარსულში დაგმო ფოტიოსმა, ხოლო პაპის ლეგატებს ურჩევდნენ, ყველანი დაერწმუნებინათ ამაში. მართალია, კრებაზე არ უარუყვიათ ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც რომი საეკლესიო თაზიარების ცენტრი იყო, მაგრამ უწინარესად ერთობის აღდგენას ითხოვდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წიაღში. თავის მხრივ, პაპის ლეგატები რომის პოზიციას ამაგრებდნენ: რომ ფოტიოსის რეაბილიტაცია უნდა მოეხდინა თავად პაპს, და რომ ბულგარეთის თაობაზე პაპის პრეტენზიები სამართლიანი იყო. ამ უკანასკნელ საკითხზე კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აჩვენა თავისი კეთილი ნება და საჯაროდ განაცხადა,

რომ იმ მიწაზე თავის იურისდიქციას არ გაავრცელებდა. პირველივე სესიის ბოლოს, ფოტიოსმა ყურადღება გაამახვილა ბოლო ხანებში ეგნატესთან მიღწეულ შეთანხმებაზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორი დაჟინებით მოსთხოვა მას იმპერატორმა ამჟამინდელი ადგილის დაკავება. ამგვარად მიაღწია პატრიარქმა პაპის ლეგატებთან კონსენსუსს მის რეინტეგრაციასთან დაკავშირებით. 880 წლის 26 იანვრის სესიაზე ყველამ მოაწერა ხელი კრების ოქმებს; ასე შედგა ფოტიოსის რეაბილიტაცია. პაპის ლეგატებმა ერთ-ერთმა პირველებმა მოაწერეს ხელი კრების გადაწყვეტილებებს, რაც, ფაქტობრივად, აუქმებდა 869-870 წლის წინანდელ დეკრეტებს, და ასევე თანხმობა განაცხადეს კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომელიც (მას მერე, რაც ყველა წინანდელი დეფინიცია განმტკიცდა) კრძალავდა ნებისმიერი სახის ცვლილებას, დამატებას ან გამოკლებას ნიკეა-კონსტანტინოპოლის სიმბოლოზე. ეს კონკრეტული მინიშნება გახლდათ ფილიოკვეს საწინააღმდეგოდ, რაც, სხვათა შორის, იმჟამად რომს ჯერაც არ მიეღო. ვერ გადაწყდა ბულგარეთის საკითხი, თუნდაც იმიტომ რომ მეფე ბორისი, რომლის სურვილი იყო ბულგარეთის ეკლესიის ავტონომია, რომის ნებისმიერი ჩარევის წინააღმდეგი იყო. მართალია, პაპი იოანე VII სავსებით კმაყოფილი არ იყო კრების გადაწყვეტილებებით, ასევე, თავისი ლეგატების საქმიანობით, მაგრამ მაინც მოახდინა 879-880 წწ. კრების დეკრეტის რატიფიცირება. მშვიდობის გამო, მან კრების გადაწყვეტილებების მიღება ამჯობინა. თუმცა ასე როდი მოიქცნენ მისი მემკვიდრეები, რომელთაც არასდროს უღიარებიათ ფოტიოსის ლეგიტიმურობა. აი, ასეთი გახლდათ ისტორიულად კონსტანტინოპოლში ჩატარებული ორი კრების, 869-870 წწ. და 879-880 წწ., კონტექსტი, რაშიც ერთმანეთში ირეოდა დოგმატური (ფილიოკვე), დისციპლინარული (დისპუტი ეგნატესა და ფოტიოსს შორის) და პოლიტიკური (ბულგარეთის საკითხი) პრობლემები. ამავე კრების მსვლელობისას, ფოტიოსმა ეპისკოპოსებს განუცხადა, რომ ბულგარეთი, სადაც 865 წელს მეფე ბორისმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად აღიარა, უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილი, და მისი რელიგიური (აქედან გამომდინარე, პოლიტიკური) ზეგავლენის ქვეშ, რის გამოც მას ეკრძალებოდა ავტონომიური საპატრიარქოს დაარსება. პაპმა იოანე VII-მ მაშინვე შეაჩვენა ფოტიოსი (882), თუმცა ამ შეჩვენებას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

ფოტიოსის მეორედ გადაყენება ტახტიდან

886 წელს ბიზანტიის ტახტზე ახალი იმპერატორი, ლეონ VI ბიზანტიელი ავიდა, მეტსახელად ფილოსოფოსი (886-912), რომელმაც ფოტიოსი, უსაფუძვლო ბრალდების ნიადაგზე, გადააყენა და მის ადგილზე დასვა იმპერატორის ძმა სტეფანე. ფოტიოსს ბრალად სდებდნენ შეთქმულებაში მონაწილეობას, რომელსაც სათავეში ედგა მისი ახლობელი თეოდორე სანტაბარენი (Teodoro Santabareno). შედგა საბრალდებო პროცესი; თეოდორეს თვალები დასთხარეს და გააძევეს; მართალია, ფოტიოსს პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა არ ედებოდა ბრალად, მაგრამ მისი გადაყენება მაინც გამართლებულად ჩათვალეს. ეს პროცესი პაპმა სტეფანე V-მ (885-891) არაკანონიერად სცნო და კიდევ ერთხელ შეაჩვენა ამჯერად უკვე კონსტანტინოპოლის ახალი პატრიარქი.

დასასრული

მას შემდეგ, რაც ფოტიოსი 886 წელს სასამართლოს ძალით გადააყენეს, იგი იმპერატორის ბრძანებით სომხეთის ერთ-ერთ მონასტერში გაამწესეს, სადაც 893 წელს გარდაიცვალა. რამდენიმე წლის შემდეგ, მისი შვილი რომის ეპისკოპოსი გახდა, როგორც პაპი თეოდორე II (რიგით 115-ე პაპი). მაგრამ მას მხოლოდ ოცი დღის მანძილზე მოუწია კათოლიკე ეკლესიის მეთაურობა, 897 წლის დეკემბრამდე. იგი მღვდლად აკურთხა პაპმა სტეფანე VI-მ (896-897); თეოდორე II არჩეულ იქნა პაპ რომანოს შემდეგ. თეოდორემ ხელახლა აღადგინა ის სასულიერო პირები, რომლებიც სტეფანე VI-ის მიზეზით მსახურებას ჩამოსცილდნენ, აღიარა პაპ ფორმოზის (891-896) მიერ შესრულებული ხელდასხმების კანონიერება. მან წმიდა პეტრეს ბაზილიკაში დაკრძალა ფორმოზის სხეული, რომელიც, „ცხედრის სინოდის“ ("sinodo del cadavere) თანახმად, ტიბრში მოისროლეს და შემდეგ ე.წ. ოსტიას მიდამოებში სასწაულებრივად იპოვა ერთმა ბერმა. ვარაუდობენ, რომ თეოდორე მოწამლეს.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ექვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

3. რატომ ვლოცულობთ სხვებისათვის?

კათოლიკური თეოლოგიის ერთი ნუგეშისმომგვრელი წახნაგი ისიცაა, რომ ის აღიარებს შეწევნითს ლოცვას. შესანიშნავი გრძნობაა, როცა ადამიანმა იცის, რომ სხვები ლოცულობენ მისთვის, თუნდაც არ იცოდეს, თუ ვინ და როდის აღასრულებს ამ ლოცვას. მეტად მნიშვნელოვანია, – და ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, – რომ შეწევნა არ ნიშნავს შუამავლობას ან შუამდგომლობას, რადგან ჩვენ მხოლოდ ერთი შუამდგომელი გვყავს: იესო ქრისტე. იესო, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, სრული ღმრთაებრივი და სრული ადამიანური ბუნებით, ერთადერთია, რომელსაც შეუძლია, შეაკავშიროს ზეცა და ქვეყანა.

ამის მიუხედავად, მისი ერთადერთი შუამდგომლობა ხელს არ უშლის, არ გამორიცხავს, არ აბრკოლებს შეწევნითს ლოცვას. თუ ვისმე ხვალ ნაღვლის ბუშტის ოპერაცია ელის და მეორეს სთხოვს, ილოცოს მისთვის, ხოლო ის მეორე ეტყვის, შენ ჩემი ლოცვა არ გჭირდება, შენ უშუალოდ იესოს უნდა მიმართო და შენდათავად ილოცოო, ამით ის მეორე პირველს დიდ შეურაცხყოფასა და წყენას მიაყენებს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ პირველს მართლაც არ სჭირდება ამ მეორის ლოცვა. პირველს შეუძლია თავადაც ილოცოს და უნდა ილოცოს კიდეც. ყველამ უნდა ილოცოს. თუმცა ჩვენ, აგრეთვე, შეგვიძლია და უნდა ვილოცოთ ერთმანეთისათვის. მართალია, ჩვენ არ გვჭირდება სხვების ლოცვა, მაგრამ ისინი მაინც არაა ფუჭი და ამაო, ისინი მაინც ქმედითია. ღმერთი ისმენს ყოველი არსების ლოცვას. ამდენად, რატომ იქნება მცდარი სხვებისათვის ლოცვა, ან კიდევ, თხოვნა სხვების მიმართ, რათა მათ ილოცონ ჩვენთვის?! ეს ლოცვები არაა აუცილებელი, მაგრამ გვეხმარება, – ღმრთის წყალობით. ბოლოს და ბოლოს, მაინც საიდუმლოდ რჩება, რომ, ერთი მხრივ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ და მივიღოთ ღმრთის ნება და დავეთანხმოთ მას, მაგრამ, მეორე მხრივ, ღმერთი უფლებას გვანიჭებს, ვითხოვოთ ის, რაც ჩვენ გვსურს, გვინდა, გვწადია. თუნდაც ვერასოდეს ვთქვათ სრული მეტაფიზიკური დარწმუნებულობით, თუ რა არის ღმრთის ნება ჩვენს ცხოვრებაში, მაინც გვეიმედება და გვწამს, რომ, ყოველ შემთხვევაში, მჭიდროდ ან ახლოს ვიმყოფებით მასთან. ღმერთი ჩვენგან არ ითხოვს დახმარებას, მაგრამ მას სწადია, რომ ვითხოვოთ; მას სურს, რომ ვითხოვოთ ჯეროვნად, – ყოველთვის იმ პირობით, რომ ჩვენი თხოვნა მის ნებასთან თანახმიერი იქნება.

სახარებაში არაერთი შემთხვევაა, როცა ადამიანები იესოს სთხოვენ განკურნებას, მაგრამ არა საკუთარი თავისათვის, არამედ სხვებისათვის. ეს შეწევნითი ლოცვაა.

როცა იაიროსი მივიდა იესოსთან (როგორც აღწერს ამ ამბავს მარკოზი, 5:22-43), მას თავისი მომაკვდავი ქალიშვილის განკურნება სთხოვა. იგი შესთხოვდა, ევედრებოდა, ლოცულობდა სწორედ სხვის გამო. იესომ ნება დართო იაიროსს, ექმაგა შემწეობა თავისი ქალიშვილისათვის და განკურნა კიდეც იგი სასწაულებრივად.

რომაელმა ასისთავმა (ლუკა 7) მაცნეები გაუგზავნა იესოს, რათა მისი მონა განკურნებულიყო. ამ შემთხვევაში ასისთავიც და მაცნეებიც მას თხოვდნენ დახმარებას სხვისთვის შემწეობის აღმოსაჩენად. ხომ არ უსაყვედურა იესომ ან ხომ არ უთხრა მათ, წადით და უთხარით იმ მთხოვნელს, თავად მოვიდეს და თავად მთხოვოსო? არა! იესომ ნება დართო რომაელს, რათა შეწევნოდნენ მის მონას და ნება დართო მაცნეებს, რათა ეთხოვნათ მისთვის შემწეობა. შეწევნითი ლოცვა ქმედითია, მაგრამ არა აუცილებლობის გამო, არამედ ღმრთის ნებით.

კათოლიკური სარწმუნოება არა მარტო გვასწავლის იმას, რომ მე და შენ შეგვიძლია ვილოცოთ სხვებისათვის და სხვებს შეუძლიათ ილოცონ ჩვენთვის, არამედ იმასაც, რომ, წმიდათა წილდებულების შესახებ მოძღვრების თანახმად, წმიდანებსაც სამოთხეში და სულებსაც განსაწმედელში შეუძლიათ ილოცონ ჩვენთვის. სიკვდილი არ აუქმებს სიყვარულის კავშირებს. გარდაცვლილს ძალუძს, ილოცოს ჩვენთვის და ჩვენც ძალგვიძს, ვილოცოთ გარდაცვლილისათვის. თუმცა წმიდანებს სამოთხეში არ სჭირდებათ ჩვენი ლოცვები, რამდენადაც ისინი უკვე სამოთხეში იმყოფებიან და უკვე მოპოვებული აქვთ ის, რაც მათ სურთ და რაც მათ სჭირდებათ. ჯოჯოხეთში მოხვედრილ დაწყევლილთ ვერაფრით დავეხმარებით, თუნდაც მათ სურდეთ კიდეც დახმარება, ხოლო განსაწმედელში მყოფ სულებს კი შევეწევით ჩვენი ლოცვებით. ჩვენ ისევე არ ვიცით, როგორ და როდის შეეწევა მათ ჩვენი ლოცვა, როგორც არ ვიცით, როგორ და როდის შეეწევა ჩვენი ლოცვები აქ, მიწაზე მცხოვრებთ. ლოცვა გარდაცვლილთათვის კარგი საქმეა, რითაც ვადასტურებთ, რომ პატივს მივაგებთ უკვდავ სულებს.

როცა კათოლიკეები ლოცულობენ წმიდა ქალწული მარიამის ან წმიდათა მიმართ, ისინი ითხოვენ მათს შემწეობითს ლოცვებს. მხოლოდ თაყვანისცემის ლოცვაა ღმრთისმსახურების ლოცვა და ის მიემართება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს. კათოლიკეებს ეკრძალებათ თაყვანისცემის ლოცვით მიმართონ მარიამს ან რომელიმე წმიდანს. ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ სათხოვნელად და ეს ლოცვა საგანგებოდ უნდა იყოს შემწეობითი ლოცვის თხოვნა. თუკი ერთს შეუძლია სთხოვოს მეორეს, ცოცხალ პიროვნებას, რათა მან ილოცოს მისთვის, ასევე, შესაძლებელია თხოვნა წმიდანის მიმართ სამოთხეში ანდა თავად იესოს დედის მიმართ, რათა მათ ილოცონ ჩვენთვის.

ლოცვა სულთან ურთიერთობაა. ლოცვა წმიდათა მიმართ არის არა წმიდათა თაყვანისცემა, არამედ მათთან ურთიერთობა იმ ერთადერთი საშუალებით, რომლითაც ეს შესაძლებელია. ლოცვა წმიდათა მიმართ მხოლოდ შეწევნის ქომაგობის თხოვნაა; ის არასოდეს არაა აუცილებელი, მაგრამ მეტად გამოსადეგი და ვარგისია.

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

საარქივო მასალები

პატრებს განთავისუფლების შემდეგ მათი სახლები დაკავებული დახვდათ. მათი მოწინააღმდეგენი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ პატრები წასულიყვნენ მესხეთ-ჯავახეთიდან.

მაინც რომის და პოლონელი პატრები მუდმივ ბრძოლას ვერ შეეწყვნენ, მათ ხელი აიღეს ყველაფერზე, სომეხ კათოლიკეთა მღვდლებს ეუწყათ, რომ კათოლიკეთა საქმე ემართათ და რაც უნდოდათ ის ექმნათ. პატრები დარჩნენ საქართველოს და იმერეთის სამფლობელოებში. აქ გაიმაგრეს ამათ ფეხი და მეფეებთაგანაც დიდად პასტივცემულნი იყვნენ, რადგანაც ისინი ქებულნი იყვნენე ყველაფრით, განსაკუთრებით კი ქადაგებით და ექიმობით. პატრ ჯერმინეს და მის ძმათა პატრების შემდეგ დიდმა ხანმა აღარ განვლო, რომ ახალციხე რუსებმა აიღეს და ამიტომ ახალციხის კათოლიკეთა საქმეებიც უნდა შეცვლილიყო, იგი უნდა შეერთებოდა ამიერ-საქართველოს რომის ქართველთა კათოლიკეთა კონსისტერიას, რომელთა ეპისკოპოსად მაშინ ირიცხებოდა ცნობილი ექიმი და ვიცე ვიკარი ფილიპე, რომელიც მეფეების დროიდან ცხოვრობდა აქ და ეს პატრი თავგამეტებით კაცთმოყვარეობდა.

პატრი ფილიპეც იყო ისეთ მაღალ სათნოებიანი მოძღვარ-ექიმი, როგორც სხვა პატრები, იგი იყო დაჯილდოვებული დიდის მხნეობით, ენერგიით, შრომის სიყვარულით, მაღალის უმანკოებით და ხალხის სიყვარულით. პატრებში საყოველთაოდ სჩქეფდა ერის სიყვარული. ესენი კათოლიკეებს დიდის თანამომხრეობით ჰპატრონობდნენ. კათოლიკების გარეშე ყველას მამად ითვლებოდა პატრი ფილიპე. საქართველოში ყველამ იცოდა პატრი ფილიპეს ხსენება და პატრი ნიკოლასი.

პატრი ფილიპე დაიბადა 1777 წელს, შთამომავლობით იტალიელი იყო, პატარობიდანვე რომში გაზრდილი, სამღვდელოების ხელში. სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა კაცმა დაამთავრა სასულიერო სწავლა. სასულიერო სწავლის გარეშე იგი იყო მეტრფიალე სხვა და სხვა ენების და განსაკუთრებით ქართული ენისა. ქართულ ენას იგი რომში გაეცნო. პაპის კოლეგიაში დაიწყო სწავლა ქართულის ენისა და რამოდენიმე ხნის შემდეგ საქართველოში იქნა გამოგზავნილი. იგი მოჰყვა დამიანე ანკოლელს და სრულიად ახალგაზრდა ბერმა ერთობ მალე შეისწავლა ქართული ენა, უფრო უკეთესად, ვიდრე აბატმა დამიანე ანკოლელმა.

პატრმა ფილიპემ ერთობ მალე გაიცნო საქართველოს ერი, განსაკუთებით ქართველთ კათოლიკეთ მდგომარეობა. ის დაუახლოვდა არა მარტო თბილისელ კათოლიკებს, არამედ ქართველებს, სომხებს და თათრებსაც კი. იყო შესანიშნავი მქადაგებელი, მოყვარული ქრისტიანობის, რომის ეკლესიის, პაპის, აგრეთვე იყო მეცნიერი კაცი საღმრთო საგნებში და გამოცდილი ექიმი. იგი მთელ ქართველობას უყვარდა, იყო ყველას მამა, მფარველი, ძმა და მეგობარი. მან დიდი ერთგულებით იღვაწა ქართველ კათოლიკეთა სასარგებლოდ და 1839 წელს მიიცვალა. იგი დაასაფლავეს სოლოლაკზე, კათოლიკეთა სასაფლაოს ეკლესიაში, რომელიც თვით პატრმა ფილიპემ გააკეთა. პატრი ნიკოლას შემდეგ საქართველოს კათოლიკეებს ფილიპესთანა აღარავინ მოვლენიათ. ამბობენ, რომ პატრი ნიკოლას ცხოვრება დაბეჭდილია ფრანგულ ჟურნალ „მისიონ კატოლიკ“-ში.

პატრი ნიკოლა იყო ფხიზელი ადამიანი, მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ წერილი გაგზავნა რომში პაპ პიო მეექვსესთან და აუწყა მეფის გარდაცვალება, გიორგის გამეფება, აგრეთვე საქართველოს რომის კათოლიკეების მდგომარეობა. პატრი სთხოვდა პაპს, რომ მეფე გიორგისთან ბერები გამოეგზავნათ მოსალოცად, დალოცეთ მისი მეფობაო. პაპმა ყურადღება მიაქცია პატრი ნიკოლას მოხსენებას და მალე საქართველოში გამოგზავნეს აბატი დამიანე ანკოლელი და სამიც სხვა ბერი.

აბატი დამიანე ანკოლელი მალე მოვიდა თბილისში, მას მოჰყვა თან ახალგაზრდა პატრი ფილიპე. ისინი წარსდგენენ მეფე გიორგის წინაშე და მიართვეს პაპისაგან გამოგზავნილი ლოცვა-კურთხევა, ანუ ბულლა. მეფეს დიდად ესიამოვნა პაპის მოლოცვა, დამიანე ანკოლელეს და ფილიპეს ნიკოლას პირით ჯეროვანი პატივისცემა და სიყვარული გადასცა.

საუბრის დროს მეფე რომიდან მოსულ პატრებს გამოჰკითხავდა ევროპის ამბებს და პატრებიც მოუთხრობდნენ ნიკოლას დახმარებით. სწორედ ამ დროს და ამ პირების მეოხებით გარცელდა საქართველოში საფრანგეთის რესპუბლიკის მდგომარეობის საქმე.

ყველაფრის გავრცელება ნიკოლას ეკუთვნის.

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

სიქსტეს მაღონა და რუსული კულტურა

„სიქსტეს მადონა“ და „ტრებლინკას მადონა“

არის რაღაც მისტიკური რაფაელის „სიქსტეს მადონაში“, რომელიც ჩვენი გაზეთის წინა ნომრის („საბა“, №8, გვ. 2) სტატიაში – „ზეციური ბრწყინვალება“ – ფოლინიოს ღვთისმშობელს შევადარეთ. იგი მართლაც უზადო სურათია და ამაზე არავინ დაობს, მაგრამ ეს საკმარისი როდია იმის ასახსნელად, თუ რატომ ჰქონდა მას დიდი ხნის მანძილზე ასეთი საბედისწერო გავლენა აღმოსავლეთის, კერძოდ, რუსულ კულტურაზე. პუშკინი, ბელინსკი, გერცენი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, გონჩაროვი, სოლოვიოვი, ფლორენსკი – ყველა აღწერდა იმ შთაბეჭდილებას, რასაც მათში ბადებდა დიდებული ქალბატონი ყრმით ხელში. რამდენჯერმე იყო საიდუმლოს ამოხსნის მცდელობა, თუმცა ნაკლებად დამაჯერებელი: საიდუმლო საიდუმლოდ რჩება. მრავალთა შორის ერთი საინტერესო ფაქტია: ბაკუნინი, დრეზდენში 1948 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, ფიქრობდა, რომ თუკი ამბოხებულები ამ სურათს ბაირაღივით მაღლა აღმართავდნენ, ვერავინ გაბედავდა მათ მოკვლას. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და აშკარად დამაჯერებელი ანალიზი ამ ტილოს შესახებ მოგვცა ვასილი გროსმანმა (1905-1964წწ., უკრაინა-მოსკოვი), საბჭოთა მწერალმა და პუბლიცისტმა. გროსმანმა, ეროვნებით ებრაელმა, მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, საბჭოური რეჟიმის იდეოლოგია გაიზიარა. მას შემდეგ, რაც იგი 1949-1953 წლებში საბჭოთა კავშირში განხორციელებული ანტისემიტური კამპანიის მომსწრე გახდა, მასში სულ სხვა გრძნობები მომწიფდა, საბჭოურ რეჟიმს განუდგა და უბედურებამაც არ დააყოვნა. ომის თემაზე დაწერილი მისი წიგნის – „სიცოცხლე და ბედისწერა“ – ბოლო გამოცემა სეკვესტრირებულ იქნა და მზის შუქს ვერასოდეს იხილავდა, ერთ კეთილისმყოფელ ადამიანს რომ არ შეენახა იგი და 1980 წელს, ქ. ლოზანაში, იატაქვეშეთში არ დაებეჭდა მისი რამდენიმე ასლი. საოცრად ძლიერი და ამაღელვებელია ვ. გროსმანის განცდები, რომელიც მასში რაფაელის შედევრმა გამოიწვია. იგი მოკლედ გვიამბობს თავის შთაბეჭდილებათა შესახებ ნაშრომში „სიქსტეს მადონა“, რომელიც 1955 წელს შეიქმნა, ხოლო რუსეთში 1989 წ. დაიბეჭდა: *„ყველაფერი რომ ავიღოთ, რაც კი ფუნჯს, საჭრისს და კალამს შეუქმნია, და განუცვიფრებია ჩემი გული და გონება – მხოლოდ რაფაელის ეს სურათი არ მოკვდება მანამ, სანამ დედამიწაზე ადამიანი იარსებებს“*. სურათი დრეზდენის გალერეის კუთვნილება გახლდათ, მაგრამ *„ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ*, – წერს გროსმანი, –*საბჭოთა არმიამ მოსკოვში თან წაიღო დრეზდენის გალერეის რამდენიმე სურათი. მოსკოვში სურათები დაახლოებით ათი წელი ინახებოდა. 1955 წელს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, რომ სურათები დრეზდენისთვის დაებრუნებინა. გადაწყდა, რომ ვიდრე სურათებს გერმანიაში გაგზავნიდნენ, ისინი საჯაროდ გამოეფინათ ოთხმოცდაათი დღის მანძილზე... და აი,* 1955 *წლის* 30 *მარტის ცივ დილას... პუშკინის სახელობის მუზეუმში შევედი, ავედი მეორე სართულზე და სიქსტეს მადონას მივუახლოვდი“*. აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ გროსმანი, რომელიც მუზეუმის კიბეებზე ადის, ის პიროვნებაა, ვინც საკუთარი თვალით იხილა საბჭოური გულაგი, ნაცისტური ბანაკები და აღწერა *ტრებლინკას* ჯოჯოხეთი. *ტრებლინკა* ერთ-ერთი ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი გახლდათ პოლონეთში, ვარშავის ჩრდილო-აღმოსავლეთით. არსებული მონაცემებით, ბანაკში 700.000-დან 900.000-მდე ადამიანი ჩახოცეს. მსხვერპლთა რაოდენობით *ტრებლინკა* მეორე საკონცენტრაციო ბანაკი გახდა *აუშვიცის* (ბირკენაუს) შემდეგ. რაფაელის ღვთისმშობლისა და ყრმის დანახვაზე, მას ადამიანის ხელით შექმნილი ჯოჯოხეთი დაუდგა თვალწინ: *„ტრებლინკას გახსენებამ მთლიანად მომნუსხა, მაგრამ თავიდან ამას ვერ მივხვდი... სწორედ ის (ღვთისმშობლის სახება) მოაბიჯებდა ფეხშიშველი მსუბუქად ტრებლინკას მოთუხთუხე გაზის კამერის მხუთავი სუნით გაჟღენთილ მიწაზე... იგი სახისა და თვალების გამომეტყველებით ვიცანი. როგორც კი მისი ყრმა დავინახე, მსწარფლ შევიცანი თავისი უჩვეულოდ არაბავშვური სახისა და თვალების გამომეტყველებით. სწორედ ასეთები იყვნენ დედები და ბავშვები, როდესაც ისინი ხედავდნენ ტრებლინკას გაზის კამერების თეთრ კედლებს... რამდენჯერ მინახავს ნისლში გახვეული, მატარებლიდან ჩამოსული გადასახლებულები; თუმცა გარკვევით ვერასოდეს ვარჩევდი მათ სახეებს, რადგანაც ისინი უზომო შიშს დაემახინჯებინა... და აი, უცებ მე დავინახე მათი ნამდვილი სახე, ის ოთხი საუკუნის წინ დაეხატა რაფაელს.... თითქოს ახლა მოუვლინა ახალგაზრდა დედამ სამყაროს თავისი ჩვილი; საშინელებაა, მუცლით ატარებდე ყრმას და გესმოდეს გაშმაგებული ბრბოს ღრიალი, ადოლფ ჰიტლერს რომ ესალმება...“* გროსმანმა ყველაფერი აღწერა „ტრებლინკას ჯოჯოხეთში“, რაც კი წითელი არმიის შემოსვლისას საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე ნახა: პერანგები, ბავშვის ფეხსაცმელები წითელი ბურთულებით, პირსახოცები უკრაინული ნაქარგებით, ბავშვების მიერ ფანქრით ნაწერი წერილები... და ადამიანის თმები... *„ტალღოვანი და ხშირი, მსუბუქი და ნაზი... და ასე უსასრულოდ... მიწის სიღრმიდან უამრავი პაწაწინა ზანზალაკების მსუბუქი ჟღარუნი ერთ დიდ სამგლოვიარო ხმას გამოსცემს. მეჩვენება, რომ სადაცაა გული გაჩერდება სევდისა, ტკივილისა და ისეთი მწუხარებისაგან გათანგული, რისი ატანაც ადამიანს არ ძალუძს...“* რაფაელის სურათი ახალ შუქს ასხივებს: ეს დედა-შვილი ტრებლინკას დედები და ბავშვები არიან, რომელთა ადამიანური ძალა ნაცისტური გაზის კამერების საშინელებას და ტერორს ამარცხებს. *„აი, დედისა და შვილის სახეზე გამოხატული სიმშვიდის მიზეზიც: ისინი დაუმარცხებლები არიან. ყველაზე საშინელ ეპოქაშიც კი სიცოცხლის განადგურება მის დამარცხებას არ ნიშნავს“*... შეიძლება ითქვას, რომ რაფაელის ღვთისმშობელი ძირისძირამდე ეხება მწერლის გულს, რაკიღა დედობის საიდუმლოს გასაღებს აგნებს; რადგანაც ეს ღვთისმშობელი ყველაზე „დემოკრატიული“, ყველაზე „ჰუმანური“, „საყოველთაო“ ფიგურაა ამქვეყნად შობილთა შორის. დედასა და შვილს შორის როლები აქ შეცვლილია. ნამდვილი ზრდასრული ჩვილია – ყრმა იესო, უკვე შეგნებული რომ აქვს თავისი ბედი, რაც მას ელის. და დედაც უძლურია, რომ საკუთარ შვილს თავიდან ააცილოს ტრაგიკული ბედი;

ღვთისმშობელი და ყრმა რაფაელის სურათის მხოლოდ ერთ, ცენტრალურ ნაწილს იკავებენ. აქ სხვებიც არიან (ორი ქერუბიმი, წმიდა სიქსტე და წმიდა ბარბარე), თუმცა თვალი იძულებულია, ისინი გვერდზე გარიყოს და, დედა-შვილის გარდა, ყველაფერი ჩრდილში მოაქციოს.

ღვთისმშობელი და ყრმა: ბოროტება, რომელიც არსებობს, და რომელიც ყოველმხრივ და ყოველჟამს თან სდევს მათ, ვერას ავნებს მომავლისაკენ შემართულ მათ მზერას. მათ იციან ცხოვრების ტკივილი, მაგრამ არ ეშინიათ, რამეთუ ისიც იციან, რომ სიცოცხლე ყველა ბოროტებას სძლევს. დედა-შვილი სრულიად მიწიერი ხატება ხდება. ისინი კაცობრიობის სვე-ბედს განასახიერებენ, გვამცნობენ, რომ სიცოცხლე ისეთი მშვენიერია, რომ მას ამქვეყნად ვერანაირი საშინელება და ვერანაირი ძალა ვერასოდეს ვერ დაძლევს. „მადონას სილამაზე მჭიდროდაა დაკავშირებული მიწიერ ცხოვრებასთან... *იგი ეკუთვნის კუზიან ქალებსაც, მახინჯებსაც... ეკუთვნის მთელ კაცობრიობას...*

ღვთისმშობელი იმყოფებოდა *ტრებლინკაში* ნაცისტების მიერ გაჟლეტილ ებრაელთა შორის, საბჭოური რეჟიმის მიერ დევნილთა შორის; გადასახლებულთა, მოშიმშილეთა, დახოცილ კულაკებთა შორის... ხოლო *„თუ მომავალი მას წაიყვანს ჩინეთში ან სუდანში, ადამიანები ყველგან ისევე შეიცნობენ მას, როგორც ჩვენ შევიცანით იგი“*. ღვთისმშობელი კაცობრიობის გვერდით დგას, უფრო მეტიც, თავად არის ტანჯული, მაგრამ ტანჯვაზე გამარჯვებული კაცობრიობა, სამარადისოდ ცოცხალი. ჰიტლერი და სტალინი დამარცხებულები არიან, ისინი მისი თვალთახედვის არეში ვერ მოხვდნენ. არა მხოლოდ ებრაელები, არამედ მთელი კაცობრიობა იტანჯებოდა ყველა ეპოქაში: *„მინასავით უკიდეგანო და მარადიული იყო ტკივილი“*. ყველა ეპოქის ტანჯული კაცობრიობა, საკუთარ თავს ხედავს მარიამის სახეში, რომელსაც ხელში სასიკვდილოდ განწირული თავისი ყრმა უჭირავს. გროსმანს სურათი უჩვეულო წაკითხვისკენ უბიძგებს და დაუვიწყარ იდეებს კარნახობს; ასევე, აძლევს სტიმულს, რომ არ დაკარგოს იმედი, უფრო სწორად, რწმენა იმისა, რომ სიცოცხლე და თავისუფლება განუყოფელია, რომ ადამიანში ადამიანურობა უმთავრესია, რომ კაცობრიობა „სამარადისოდ გადარჩება და გაიმარჯვებს“. *„მარიამი ჩვენთან ერთად იტანჯა, რამეთუ ის და მისი ჩვილი ჩვენ ვართ“*.

ფაქტია, რომ სიქსტეს ღვთისმშობლის თვალებში უსასრულო შიშს დაუსადგურებია! რადგანაც ეს თვალები „ხედავენ“ ჰიტლერს და სტალინს, რომლებიც მას უთვალთვალებენ, ისინი მის თვალწინ მოქმედებენ, მის თვალწინაა კაცობრიობის ისტორია. მან უწყის, რომ ამ ბოროტ ძალას მხოლოდ ყრმას – თავისი ადამიანურობის უძლეველ ნაწილს – დაუპირისპირებს! გროსმანი სულაც არ გაურბის ცხრაასიანი წლების საშინელებას, არ გაურბის ტრებლინკას, კოლიმას ტრაგედიას, არ გაურბის ოცდაათიან წლებში საბჭოური კოლექტივიზაციის შედეგად მოტანილ შიმშილობას. ეს ყველაფერი გროსმანს ახსოვს, – და უნდა რომ ახსოვდეს, – რამეთუ არც სიქსტეს მადონა გაქცევია შიშს. ტრებლინკასა და კოლიმას შემდეგ, ერთადერთი რეალური მშვენიერება არის ხორცშესხმული მშვენიერება. ამ მშვენიერებას, რომელიც დოსტოევსკის გზას მიუყვება, გროსმანმა უწოდა ადამიანში არსებული ჰუმანურობა. იგი იმის სახეა, ვინც ეხმარება შიმშილობის წლებში მოკლულ გლეხებს, კიშინიოვის პოგრომში მოკლული ვაჭარი ებრაელების შვილებს, ქვის სამტეხლოში ჩახოცილებს, ტაიგის მეტყევეებს, წყლით სავსე ტრანშეებში მყოფ ჯარისკაცებს, და ტრებლინკას და-ძმებს. ეს ქალბატონი თავისი ყრმით სრულიად ახალი ხორცშესხმაა, *„გეგონება შვიდფერა ცისარტყელას მერვე ფერი დამატებოდეს, რომელიც კაცთა თვალს არასოდეს უნახავს“*. გროსმანი თავის თხრობას პირქუში და წინასწარმეტყველური სურათით ასრულებს: ადამიანის ბედისწერა დაწერილია თერმობირთვულ წესრიგში, როგორც *„მანიშნებელი გლობალური ომის დაწყებისა“* და კაცობრიობის განადგურების საფრთხისა. მაგრამ სიქსტეს ღვთისმშობელი კვლავ და კვლავ იქნება იმედის სხივი კაცობრიობისთვის: *„როდესაც სიქსტეს მადონას ვუყურებთ, ჩვენს რწმენას იმით ვაცოცხლებთ, რომ ცხოვრება და თავისუფლება ერთმანეთისაგან განუყოფელია და არაფერი არ დგას ადამიანის ჰუმანურობაზე მაღლა. ადამიანური ჰუმანურობა სამარადისოდ იცოცხლებს და გაიმარჯვებს“*.

რაფაელის სურათიდან ისეთი სინათლე იღვრება, რასაც ვერაფერი და ვერავინ ჩააქრობს. საუკუნეებმა განვლო, იყო ომები და გაუგონარი ძალადობები, და მაინც, აგერ უკვე თორმეტი თაობაა, რაც ეს სურათი, მარად იგივე და მარად განსხვავებული, აგრძელებს ადამიანთა ცხოვრების გასხივოსნებას (მდიდართა და ღარიბთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა, კეთილთა და ბოროტთა), და მათთვის იმის ჩვენებას, თუ როგორ არის თანშეზრდილი „თავისუფლების სასწაული“ ადამიანის ბუნებასთან და ვერანაირი ძალა მას ვერ გაანადგურებს. აი, რატომ ვერ გაუძლო, „ახატვარმა ადოლფ ჰიტლერმა“, – *რაშიც ღრმად არის დარწმუნებული გროსმანი*, – დედისა და ყრმის გამჭოლ მზერას. ვერ გაუძლო, რადგანაც ორივე ჰუმანურობის ხორცშესხმას წარმოადგენს, რის გამოც უკვდავების თანაზიარია. მართალია, – დასძენს გროსმანი, – ცხოვრება სასტიკია, ისტორია ტანჯვა-წამების მონაცვლეობაა, და მაინც, სადღაც ფარულად თანაგრძნობის ერთი ნაპერწკალი გაიელვებს. სიკეთე არის და ყოველთვის იარსებებს. სწორედ სიკეთის ამ მარხილზე უნდა შევდგეთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

გროსმანის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს დედის ფიგურას, დაწყებული საკუთარი დედის სახებიდან. მის ყველა ნაწარმოებში დედის უჩვეულო სახეებს ვხვდებით, ყველა მათგანის ფესვები ავტორის დედაშია, ხოლო მათი მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ხასიათი სიქსტეს მადონაში. გროსმანი, როცა იმ გზას აღწერს, რომელსაც ტუსაღთა ერთი ჯგუფი გადიოდა გაზის კამერამდე, წერს: „გვერდით მექანიკოსის ცოლი ედგა, და დედის მკლავებში საცოდავი ბავშვი, დიდი თავით, უცოდველი და სევდიანი თვალებით აქეთ-იქით ცნობისმოყვარედ იხედებოდა... ჩაფიქრებული მიაბიჯებდა ხელში აყვანილი ჩვილით. ხოლო მისი შვილი, მთელი დღე და ღამე გულამოსკვნილი რომ ტიროდა, აღარ სუნთქავდა. დედის ჩაშავებული, ნაღვლიანი მზერა ამ მახინჯი და ჭუჭყიანი სახიდან, ამ რბილი, მაგრამ უსისხლო ტუჩებიდან სხვა რამეზე გადადიოდა“. დედის ფიქრი მას არასოდეს ტოვებდა, თუნდაც მკვდარს. ავტორი „ალბათ ასჯერ მაინც“ ცდილობდა წარმოედგინა მისი ცხოვრების უკანასკნელი დღეები და წამები. მისი რომანების ერთ-ერთი პერსონაჟი რამდენჯერმე გადაიკითხავს დედის წერილს, რომელიც გეტოდან მისწერა, ვიდრე სასიკვდილოდ გაიყვანდნენ. გროსმანიც ისურვებდა ასეთი წერილის მიღებას; წერილი, რომელიც ყველასათვის ცნობილი მინაწერით მთავრდება: „იცოცხლე, მარად იცოცხლე...“; „იცოცხლე“ – ეს დედის ხუთი რჩევიდან ერთ-ერთი პირველია: *იცოცხლე და იცოცხლე მარად*, ანუ ახალი სიცოცხლე შვი; ვერც ერთი დედა ამაზე მეტს ვერ იტყვის. არსებობს ორი წერილი, რომელიც გროსმანმა დედას მისწერა გარდაცვალების შემდეგ: „ათი წლის წინათ, როდესაც ჩემი პირველი წერილი მოგწერე სიკვდილის შემდეგ, შენ ისეთივე დარჩი, როგორიც იყავი ცხოვრებაში, ჩემი დედა ჩემს სხეულში და ჩემს სულში. როდესაც მოვკვდები, სიცოცხლეს ამ წიგნში გააგრძელებ („*ცხოვრება და ბედისწერა*“), რომელსაც შენ გიძღვნი, და რომლის ბედიც მჭიდროდ იქნება შენთან დაკავშირებული“. გროსმანისთვის დედა ამავე დროს არის *ყველას* დედა, ანუ კაცობრიობის ხატება: „ჩემთვის შენა ხარ კაცობრიობა და შენი საშინელი ბედი კაცობრიობის ბედია ამ არაადამიანურ ეპოქაში“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

საქართველოს კათოლიკეთა ახალგაზრდების საბჭო

ხნმენაში განმტკიცებული

თავიდანვე ისე ჩანდა, რომ მომლოცველობა თავგადასავლებით იქნებოდა სავსე. ასეც მოხდა...

ჯგუფი

ჯგუფი თავიდანვე მომეწონა. იგი საქართველოს პატარა კათოლიკური ეკლესიის ყველა სამრევლოს წარმომადგენელს აერთიანებდა: თბილისის კათედრალის, წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის, რუსთავის, გორის, ახალხიზას, ბოჯომის, ახალციხის, ვალეს, უდეს, არალის, ჭიათურის, ქუთაისის, ოზურგეთის სამრევლოებიდან. იყვნენ ასირო-ქალდეური წესის კათოლიკეებიც. ამ გოგონებმა ყველას დაგვამახსოვრეს თავი — ძლიერი სულითა და ძლიერი ხმით... პასუხისმგებლობა მთელი ჯგუფისთვის მამა მიშა სურმავას, მამა პაატა ქომოშვილს და დებს ტერეზა მატიასა და პასკალინა კავუგო კასოლეს ეკისრებოდათ.

ტრანზიტი

თვითმფრინავში ვართ. აფრენას მღელვარება და სიხარული ახლავს... კვლავ მოლოდინი... სურათების გადაღება, გემრიელი საუზმე... თვითმფინავი კიევში დაეშვა. სატრანზიტო ზონაში 4 საათი უნდა გაგვეტარებინა... ზოგმა მაღაზიებში სიარული გადაწყვიტა, ზოგს სავარძლებში ჩაეძინა, ზოგი სურათს იღებდა... ვიღაცამ კი სიმღერა წამოიწყო. და მაშინ ნათელი გახდა, რომ დარბაზი დავიპყარით... ჩვენთან ერთად ნეოკატეხუმენების ჯგუფი მოფრინავდა. ძალიან კარგი მგალობლები ჰყავდათ. ვიმღერეთ, ვიცეკვეთ და აპლოდისმენტებიც დავიმსახურეთ. ამასობაში გამგზავრების დროც მოვიდა...

მადრიდი. გზა გრანადისკენ

თვითმფრინავი მძიმედ დაეშვა, რასაც ემოციური შეძახილები მოჰყვა, შეძახილებს აპლოდისმენტები... და აი... ესპანეთი! აი მადრიდი! უზარმაზარი აეროპორტი... კონტროლი წარმატებით გავიარეთ. ახლა კი მამა მიშას ველოდებით. ის გრანადისკენ მიმავალი ავტობუსის ბილეთების საყიდლად წავიდა... ნახევარ საათში დაბრუნდა, ბილეთები მოიტანა და გვითხრა, რომ სასწრაფოდ წავსულიყავით ავტოსადგურისკენ. მივიჩქარით... ყველაფერი გვეუცხოვება, ხალხიც, მეტროც... გზა აგვებნა. მივხვდით, რომ ვაგვიანებთ... ავტობუსი საღამოს შვიდზე გადის, ჩვენ კი ჯერ კიდევ მეტროში ვართ... ხმაურიანად ვაჩერებთ ავტობუსს, — ქართველებს რომ სჩვევიათ, ისე. გაგვიჩერეს. ოდნავ აღშფოთებულები იყვნენ ეს ჩვენი ესპანელები, თუმცა ავტობუსში მაინც შეგვიშვეს... მაგრამ ყველა არა... მამა პაატა და კიდევ ერთი მომლოცველი დარჩნენ, შემდეგ ავტობუსს დაველოდებითო. ისე მოხდა, რომ გრანადამდე მხოლოდ დილით მოაღწიეს... ვხედავდით, რომ მამა მიშა ძალიან ნერვიულობდა... ყველანი მშვიერები ვიყავით, გვწყუროდა კიდეც..., მაგრამ სწორედ მეგობრულმა გარემომ, ხალისიანმა განწყობამ იოლად გადაგვატანინა ყველა სიძნელე.

▶ 16 გვ.

◀ 15 გვ.

გრანადა. ეპარქიაში გატარებული დღეები

შესანიშნავი გზა იყო. ესპანეთის დიდი სამეფოს ლამაზი ბუნება და ლანდშაფტი თვალს ახარებდა... გრანადაში შუაღამისას ჩავედით... მოხალისეები უკვე გველოდნენ. დიდი სიხარულით შეგვხვდნენ ამ ლამაზ ისტორიულ ქალაქში... გარკვეული ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შემდეგ, ულამაზეს მონასტერში მიგვიყვანეს, ოთახებში გაგვანაწილეს, დაგვანაყრეს, დაგვარწყულეს და მოგვასვენეს... მანამდე კი გაგვაფრთხილეს, დილით ადრე უნდა ადგეთო... დილით ჩინებული საუზმე დაგვხვდა, რომლითაც შემდგომ დღეებშიც გვიმასპინძლდებოდნენ ამ მშვენიერ ქალაქში. მოხალისეებს მოუსვენრობა ეტყობოდათ, ჩქარობდნენ. ჩვენ კი გვეძინებოდა.... მაგრამ მომლოცველობა ხომ მსხვერპლია... ეს ყველას გვესმოდა... უნივერსიტეტის მოედანზე მდებარე ლამაზი ტაძრისკენ გავემართეთ. ლოცვა ნეახევარი საათის დაწყებული იყო... მაგრამ ტაძარში ჩვენი შესვლისას, ლოცვა შეწყვიტეს და მხურვალე აპლოდისმენტებით მოგვესალმენ..., საკურთხეველში მიგვიპატიჟეს. ტყუილად როდია ნათქვამი, თქვენს შორის უკანასკნელი პირველი იქნებაო... შესანიშნავია. ტაძრის სილამაზე აღფრთოვანებას იწვევდა, წინ კიდევ ბევრი რამ გველოდა... ლოცვის შემდეგ, უნივერსიტეტში გავემართეთ. ხმაურით, მივდიოდით, სიმღერით... ინიციატორები ქართველები ვიყავით... უნივერსიტეტის შენობაში სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ. ესპანურენოვანი ახალგაზრდობა ჭარბობდა, ამიტომ ურთიერთობა ოდნავ გაგვიჭირდა.

შემდეგ იყო წმ. წირვა... ისეთივე, როგორც საქართველოში, მაგრამ ბევრი ჩვენგანისთვის უჩვეულო, უცნაური და საინტერესო გიტარის, ტამტამებისა და ვიოლინოს თანხლებით... სულიერი საზრდო მივიღეთ და ხორციელი საზრდოს მისაღებად გავეშურეთ. გემრიელი იყო, ვერაფერს იტყვი... საღამოს საინტერსო თამაშები გველოდა... განძის ძებნაში მთელი ქალაქი მოვირბინეთ... არაოფიციალურად შემატყობინეს, რომ მეორე ადგილი დავიკავეთ... ოფიციალურად კი გამოაცხადეს, რომ გაიმარჯვა მეგობრობამ... ასეც უნდა იყოს... საღამოა. ყველას გვეძინება. შხაპი, საწოლი... დილით ადრე უნდა ავდგეთ... ზღვაზე მივდივართ, ქალაქ მოტრილში. მშვენიერი ტურისტული ქალაქია... ჯერ ტაძარში წავედით, სადაც ბრაზილიელი ეპისკოპოსი აღავლენდა წირვას... შემდეგ ნუოვატერასკენ გავემართეთ, სადაც ჩვენთვის პატარა პლიაჟი იყო დაჯავშნული ხმელთაშუა ზღვაზე... ჩინებული იყო ზღვა, სუფთა და ძალიან მარილიანი... ვიღაცამ მოახერხა და ზღვის ზღარბს დაადგა ფეხი... სასწრაფო დახმარება მამა მიშამ და ჩვენმა მედდამ, კრისტინამ გაუწიეს. შევიბრაწეთ... დაბრუნებულებმა ნაყინი მივირთვით, უგემრიელესი იყო. რამდენიმე მომლოცველი მთაზე ავიდა, რომ გრანადისთვის ზევიდან გადმოეხედა. ამბობენ, ლამაზიაო... მანამდე კი — ადორაცია. ვილოცეთ იმისთვის, რომ მადრიდში გატარებული დღეები ნაყოფიერი ყოფილიყო რწმენისთვის. დარწმუნებული ვარ, ეს დღეები აუცილებელი იყო ბევრი ჩვენგანისთვის...

მეორე დღეს წმიდა იერემიას ტაძარში წირვას დავესწარით. სადილად გიგანტურ ტაფაზე დამზადებული ეგზოტიკური კერძი მივირთვით. შემდეგ თავისუფალი დრო გვქონდა... 9 საათზე, ქალაქის სტადიონზე, გრანადაში ჩამოსულ 6 000 მომლოცველს შევუერთდით... ეს მართლაც რომ დიდი გამოცდილება იყო ჩვენთვის: ამდენი ახალგაზრდა კათოლიკე შეიკრიბა ერთობლივი ლოცვისთვის! როდესაც ადორაცია დაიწყო, ყველა უცებ გაჩუმდა. შეძახილები შეწყდა და ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ საკუთარ გულში ღმრთის ხმას გაიგონებდით... გაიგონებდით უფლის ხმას გალობაში, გაიგონებდით ქადაგებაში... შეუძლებელია ამის აღწერა, ეს უნდა გენახა... ყველანი ლოცულობდნენ, მაგრამ რისთვის — ეს მხოლოდ უფალმა უწყოდა. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სწორედ ამ დროს ბევრმა ჩვენგანმა ღმრთისგან მცირე საჩუქრების მიღება დაიწყო... გმადლობ შენ, უფალო, ლოცვის ნიჭისთვის... საღამო მოცეკავე ცხენებით, ესპანური ფოლკლორითა და ფეიერვერკით დასრულდა.

უკვე ღამის ორი საათია, ექვსზე კი უნდა ავდგეთ და საკათედრო ტაძარში წავიდეთ. აქ ღმრთისმშობლის მიძინებისადმი მიძღვნილი წირვა აღევლინება...

დილაა... გავიღვიძეთ, მაგრამ გვეძინება... ხუმრობა ხომ არაა, მთელი გრანადა მოვიარეთ ამ დღეებში. ტაძრისკენ გავემართეთ. ლამის პირველები მივედით და კარგი ადგილები შეგვხვდა. ზეზეულად გვძინავს... მაგრამ უნდა გავიღვიძოთ: უფალი გვიხმობს ზიარებისთვის — სიტყვითა და გატეხილი პურით... ძალიან ლამაზი საჩუქარი გაგვიკეთა გრანადის მთავარეპისკოპოსმა. პირადად წარადგინა ჩვენი ჯგუფი და გვთხოვა, რამე გვემღერა... შესანიშნავად გამოიყურებოდა ჩვენი პატარა ჯგუფი 6 000 მომლოცველის წინაშე...

მადრიდი

დასრულდა ეპარქიული დღეები გრანადაში. დავემშვიდობეთ მასპინძლებს, გავცვალეთ მისამართები, ი-მაილები, ტელეფონის ნომრები და ნასადილევს მადრიდისკენ გავემგზავრეთ. დაუსწრებლად უკვე ვიცნობთ ამ ქალაქს, ამიტომ არც ისე უცხო გვეჩვენება აქაურობა. ავტოსადგური, შემდეგ მეტრო... სადგური „ბუენოს აირეს“... 20 წუთი ფეხით და ადგილზე ვართ, ხუან დე მიგელის კოლეჯში... ეს სკოლაა, რომელშიც 12 წლამდე ბავშვები სწავლობენ. ჩვენს გარდა აქაურობას მხოლოდ ორი ბელორუსი სემინარისტი და ორი და სტუმრობს, ერთიც მომლოცველი რუსეთიდან, რომელიც მამა მიშას მეგობარი აღმოჩნდა... ეს შეხვედრაც ძალიან ლამაზი იყო...

ბევრი რამეა საინტერესო... არ ველოდით, რომ ყველა ერთად დავიძინებდით, სპორტულ დარბაზში... გულები გახსნილია... უცნაური გრძნობაა..., მაგრამ ეს ხომ მომლოცველობაა... და გზის ბოლომდე მომლოცველად უნდა დარჩე... ზოგმა სუფთა ჰაერზე ძილი არჩია, მონაზვნები კი ოჯახებში დაბინავდნენ...

მადრიდი საინტერესო ქალაქია... ბევრი რამ ახარებს აქ თვალს... მაგრამ ჩვენ მთავარს ველოდით: იმ დღეებს, როდესაც ჩვენთან ერთად პაპი იქნება... დიახ, ჩვენთან, ახალგაზრდობასთან... იმ დღეებში მადრიდი მსოფლიო ახალგაზრდობის ცენტრად იქცა და პაპი ჩვენთან მოდიოდა... ლამაზად ჟღერს... ყველანი ვღელავდით... იმ დღეს მამა მიშამ თავისუფალი დრო მოგვცა... ვისეირნეთ და დავიღალეთ... შთაბეჭდილებებს ვერ ვიტევდით... ვიღაც კულტურულ პროგრამებში იღებდა მონაწილეობას..., ვიღაც მაღაზიებში დარბოდა... საღამოს გავიგეთ, რომ პაპის მოწინააღმდეგეები აქციებს გეგმავენ და ფრთხილად უნდა ვიყოთ... უცნაური გრძნობა იყო, შიშნარევი... მაგრამ თვალები და ღიმილი უშიშარი იყო, რადგან ვიცოდით, რომ ღმერთი დაგვიცავს... ასეც მოხდა... არც ერთ ინცინდენტს ჩვენი ჯგუფი არ შესწრებია... გავიგეთ, როგორ შეალამაზეს მას-მედიის საშუალებებმა ეს ინფორმაცია. სასაცილო იყო...

მეორე დღეს გავემართეთ დსთ-ს ქვეყნების წარმომადგენელთათვის გამართულ კატეხიზაციაზე... ეპისკოპოსი კლემენსი ქადაგებდა... ცოტა გაგვიჭირდა, რადგან ქართულად არ თარგმნიდნენ... შემდეგ გავიგეთ, რომ იგი ჩვენი რწმენის მომავალზე და ჩვენი წინაპრების დარად მომავალი თაობებისთვის მისი გადაცემის მზაობაზე საუბრობდა... საღამოს ამ თემაზე დისკუსიაც კი გავმართეთ... კატეხიზაციის შემდეგ წირვა იყო რუსულ ენაზე..., მაგრამ ეს პრობლემა არ იყო, რადგანაც ვიცოდით, რომ გვაერთიანებდა იესო ქრისტეს ჩვენდამი სიყვარულის ენა... წირვის შემდეგ — სადილი. უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაცია შესანიშნავი იყო... გვქონდა სპეციალური ტალონები და კვება შეგვეძლო მადრიდის ყველა იმ რესტორანში, რომლის შესასვლელზე ჩვენი ემბლემა იყო გამოსახული... ზოგმა მექსიკური სამზარეულო არჩია, ზოგმა იტალიური, ზოგმაც მაკდონალდსი, ან რაღაც სხვა...

საღამოს და ტერეზა სხვა მსურველებთან ერთად სალეზიელებთან შესახვედრად წავიდა... თავადაც ამ ორდენის წევრია... სალეზიელები მთელი მსოფლიოს ახალგაზრდებთან მუშაობენ. ჩვენი ჯგუფის ზოგიერთ წევრსაც გაუვლია მათთან ახალგაზრდობასთან მუშაობის კურსები. შემდეგ გავიგეთ, საინტერესო შეხვედრა ყოფილა.

ხუთშაბათს ბარსელონაში გვინდოდა წასვლა, მაგრამ ფინანსურად ვერ შევძელით... კატეხიზაციის შემდეგ, მამა მიშამ და მამა პაატამ პატარა სამლოცველოში წირვა ქართულად აღავლინეს. ქადაგებაში მამა მიშამ შეგვახსენა, რისთვის შევიკრიბეთ აქ: იმისთვის, რომ ვიყოთ მოწმენი საქართველოს პატარა ეკლესიისა და ვილოცოთ სრულიად კათოლიკე ეკლესიასთან და რომის პაპთან ერთობაში. შემდეგ მამა მიშამ აუზზე დაგვპატიჟა და გამაგრილებელი სასმელებით გაგვიმასპინძლდა... უნდა აღინიშნოს, რომ ის დღეები მადრიდში ძალზე ცხელი იყო. ტემპერატურა 40 გრადუსს აღემატებოდა... ამასობაში პაპის ჩამოსვლის დრო მოვიდა და მონაზვნებთან ერთად მის შესახვედრად გავემართეთ...

პარასკევი... ჯვრის გზა... დილით შესაძლებლობა მოგვეცა, მთლიანად დაგვთვალიერებინა ულამაზესი „ჯვრის გზის“ ყველა შეჩერება. წინა საღამოს მამა მიშამ გვირჩია, ჯვრის გზაზე ლოცვისას, რომელიც საღამოს შედგებოდა, აგვერჩია შეჩერება და სულიერად გაგვეზიარებინა ქრისტეს ტანჯვა... ადრე მივედით და უახლოესი ადგილების დაკავებაც მოვახერხეთ... სწორედ იქ ვიდექით, სადაც ჯვრის გზა გადიოდა და სადაც რომის პაპმა გაიარა... სულ სამი მეტრი გვაშორებდა მისგან... დავინახეთ, რომ იგი გვიყურებდა... ძალზე ამაღელვებელია კათოლიკე ეკლესიის მეთაურის ასე ახლოდან ხილვა და კურთხევის მიღება, რომელსაც ის პაპომობილიდან გვაძლევდა. შთაბეჭდილებებს ვერ ვიტევდით... ჯვრის გზა დიდებული იყო... მაგრამ სკოლაში დაბრუნებულებს სიურპრიზი დაგვხვდა. იგი ისეთმა ადამიანებმა დაგვიტოვეს, ღმერთის რომ არ ეშინიათ... ქურდები შემოპარულან და წაუღიათ ახალგაზრდების კუთვნილი ზოგიერთი ფასეული ნივთი. ნამდვილად არ იყო სასიამოვნო მიმოფანტული ნივთების ხილვა..., მაგრამ მივხვდი — ეს ჩვენი ცხოვრების ჯვრის გზაა: რაღაც მოვლენები უნდა მივიღოთ ისე, როგორც არის და მივუტევოთ ჩვენს მტრებს... თუმცა, პაპთან შეხვედრისა და საოცარი ლოცვების შთაბეჭდილებამ ყველაფერი გადაფარა და უსიამოვნება მალევე დაგვავიწყდა...

შაბათს, სხვა დღეებთან შედარებით, გვიან გავიღვიძეთ... მამა პაატამ წირვა ქართულად აღავლინა და „კუატრო ვიენტოს“ აეროდრომისკენ გავემართეთ, სადაც ორი მილიონი ახალგაზრდა პაპთან თანალოცვაში უნდა გაერთიანებულიყო... გზა გრძელი იყო. ხატიაზე ვფიქრობდი, ის ხომ ყავარჯნებით მოდიოდა... მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენს შორის ის ყველაზე ძლიერი იყო... ეს რწმენის ძალაა. აეროდრომზე ცოტა დავიბენით. ორგანიზატორთა გაუგებარი მოქმედების გამო, ჩვენი ჯგუფი ორად გაიყო... კვირადღემდე ასე დავრჩით. ჩვენც ვნახეთ ადგილი და მოვეწყვეთ... ბევრი ხალხი იყო... ძალიან ბევრი... ყველანი პაპს ველოდით... და ბუნების კაპრიზებმაც არ დააყოვნა... ლოცვის დროს ძლიერი ქარი ამოვარდა და კოკისპირული წვიმაც დაიწყო... ჩვენი თავი არ გვედარდებოდა. ყველანი იმაზე ვღელავდით, რომ პაპი თავიდან ფეხებამდე დასველდა... ეს კარგად ჩანდა დიდ ეკრანებზე. ამინდის მიუხედავად, ლოცვამ ძალზე ლამაზად ჩაიარა. ადორაციის დროს ისევ სიჩუმემ დაისადგურა. სდუმდა ორი მილიონი ადამიანი და მხოლოდ ღმრთის ხმა ისმოდა ჩვენს გულებში...

შემდეგ ვიმღერეთ, ვიცეკვეთ..., მერე კი დასაძინებლად დავწექით... დილით შვიდზე გავიღვიძეთ. ისევ პაპს ველოდით, რომელიც მოვიდოდა და წმიდა წირვას

აღავლენდა... მესა ლათინურ ენაზე აღევლინა და იყო მეტად კლასიკური. პაპისგან კურთხევა მივიღეთ და სიხარულით შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდობის შემდგომი დღე ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება... ასე დასრულდა ჩვენი ერთობლივი ლოცვა პაპთან.

სკოლისკენ მივდივართ, მდუმარედ, რადგან ძალიან დაღლილები ვართ... მგზავრობისთვის ვემზადებით.., ვისვენებთ... და უდიდესი შთაბეჭდილებებით საქართველოში ვბრუნდებით...

მადლობა ყველას, ვინც ამ დღეების ორგანიზაციაში მიიღო მონაწილეობა.

გმადლობთ, ღმერთო, შენი სიყვარულისთვის!

დანამდვილებით ვიცი..., დარწმუნებული ვარ..., რომ ამ შეხვედრამ მრავალი ახალგაზრდის გული შეცვალა.... იმედი მაქვს, რომ უფალმა ჩვენი ჯგუფის წევრთა გულებიც შეცვალა — ჯგუფისა, რომელმაც მთელი მსოფლიოს წინაშე წარადგინა პატარა კათოლიკური თემი საქართველოდან...

მომლოცველის დღიურიდან

ფესვგადგმულნი და ქრისტეში აღშენებულნი, განმტკიცებულნი რწმენაში

როგორც მოგეხსენებათ, რომის პაპმა, იოანე პავლე მეორემ ოთხმოციან წლებში დააწესა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე. ახალგაზდების შეხვედრები, რომელიც მიზნად ისახავდა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდების ერთობას, უკეთ გაცნობას და, რაც მთავარია, ერთმანეთისთვის სულიერი გამოცდილების გაზიარებას, წელიწადში ერთხელ ეწყობოდა სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო მოგვიანებით – რამდენიმე წელიწადში ერთხელ.

არც ამ წელს დაირღვა ტრადიცია და ესპანეთში, ქალაქ მადრიდში მოეწყო მსოფლიო XXVI ახალგაზრდობის შეხვედრა რომის პაპთან, ბენედიქტე XVI-თან.

რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაზე საქართველოს ახალგაზრდებიც გაემგზავრნენ. იმისთვის რომ მათთან ახლოს გვეგრძნო თავი სულიერად, ტრადიციად ქცეული შეხვედრა მოეწყო წეროვანში, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ის ახალგაზრდები უნდა ჩამოსულიყვნენ, რომლებიც ვერ წავიდნენ ესპანეთში.

თუმცა მანამდე, საკათედრო ტაძრის ახალგაზრდები ადრე გაემგზავრნენ წეროვანში საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად, რათა ეს შეხვედრა ორგანიზებულად ჩატარებულიყო და მეტი სულიერი დატვირთვა ჰქონოდა, რაშიც თვით ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო იღებდა მონაწილეობას.

შაბათს, 20 აგვისტოს, შუადღით წეროვანში სხვადასხვა საკრებულოებიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები, მოძღვრებისა და მონაზვნების თანხლებით, და გაიარეს რეგისტრაცია. მეუფე ჯუზეპე გულთბილად მიესალმა თითოეულ მათგანს და გამოხატა თავისი მადლიერება მათ მიმართ, დრო რომ გამონახეს წეროვანში ჩამოსასვლელად.

ჩამოსულმა და დამხვდურმა ახალგაზრდებმა ერთად გაიზიარეს ტრაპეზი, რის შემდეგაც ისინი ჯგუფებად დაიყვნენ. სულ შედგა 7 ჯგუფი, რომლებსაც გადაეცათ თემა სამუშაოდ; მათ უნდა ეპასუხათ იმ მოცემულ კითხვებზე, რომელიც დასვა პაპმა ბენედიქტე XVI-ემ თავის მიმართვაში ახალგაზრდების მიმართ.

საკმაოდ ლამაზი მომენტი იყო, როდესაც შვიდ ჯგუფად დაყოფილი ახალგაზრდები ბუნებაში ისხდნენ და საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობდნენ მიცემულ დავალებაზე. შემდეგ დრო დაეთმო რამდენიმე ადამიანს, რომლებმაც განსხვავებული გამოცდილებები გაგვიზიარეს საკუთარი ცხოვრებიდან, თუ სად და როგორ იპოვეს მათ ღმერთი და რწმენა. საღამოს ვილოცეთ სავარდი, თითოეულ საიდუმლოს წარმოთქვამდნენ სხვადასხვა კონტინენტზე, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ახალგაზრდები. ვახშმის შემდეგ ჩატარდა გასართობი მუსიკალური კონკურსი ცეკვასა და სიმღერაში, რომელსაც საკმაოდ კარგად გაართვეს თავი ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით სასიხარულო იყო, როდესაც მეუფემ არაჩვეულებრივად შეასრულა იტალიური სიმღერა. ყველა მონაწილემ მიიღო სამახსოვრო ჯილდო (სიგელი).

22.00 საათისთვის საშუალება მოგვეცა, მადრიდიდან პირდაპირ ეთერში გვენახა პაპის შეხვედრა და მისალმება ახალგაზრდებთან. უჩვეულოდ ლამაზი სანახაობა იყო: ჩვენს თვალწინ ჩანდა ზღვის ტალღებივით მღელვარე უამრავი ახალგაზრდა, პაპის მიმართ თბილი შეძახილებითა და მასთან შეხვედრის გამო სიხარულისგან აღტკინებულნი. სწორედ მისალმების დროს წამოვიდა წვიმა, თუმცა ამას ახალგაზრდები არ შეუწუხებია, პირიქით, იმატა მხიარულმა შეძახილებმა და ღელვამ. მალე წვიმამაც გადაიღო და ადორაცია დაიწყო, როგორც იქ, მადრიდში, ასევე ჩვენთანაც.

ადორაცია ორ საათს გაგრძელდა და საკმაოდ ღრმა სულიერი დატვირთვა ჰქონდა: ის ლამაზი საორღანო მუსიკისა და საგალობლების ფონზე მიმდინარეობდა, პარალელურად კი რამდენიმე მოძღვარი აღსარებას იბარებდა. მოგვიანებით ყველამ დაიძინა, რადგან წინ შეხვედრის დასკვნითი ნაწილი – საკვირაო წმინდა წირვა გველოდა.

კვირას, დილით, 21 აგვისტოს, 8:00 საათზე მადრიდის ახალგაზრდობის ჰიმნმა გაგვაღვიძა. მალე ყველანი შევგროვდით, დილის მოკლე ლოცვის შემდეგ, ვისაუზმეთ და მოვემზადეთ წმინდა წირვისთვის. მესას მონსინიორ ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა, ძალიან ლამაზი და სულიერად ამაღლებული წირვა ჩატარდა, რომლის დასასრულს მონსინიორი კიდევ ერთხელ მოგვეფერა, დაგვლოცა და იმ იმედით დაგვემშვიდობა, რომ ასეთი შეხვედრები აუცილებლად ჩატარდება, რათა უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი და გავუზიაროთ ერთმანეთს ის ტკივილი და სიხარული, რასაც განვიცდით თითოეული ჩვენგანი.

წირვა ახალგაზრდობის ჰიმნით დასრულდა, რომელიც ქართულად ვისწავლეთ და შევასრულეთ.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ყველა თავის სამრევლოში გაემგზავრა.

და ბოლოს, მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ამ შეხვედრის მომზადებაში, რადგან ყველაფერი ორგანიზებულად და ლამაზად ჩატარდა.

ვფიქრობ, მუშაობა იმად ღირდა, რომ ორი ულამაზესი დღე გვეჩუქებინა ერთმანეთისთვის.

მარინა აკოფაშვილი

მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების პროგრამა:

18 აგვისტო – მიხეილ თამარაშვილის შემოქმედებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომების კონკურსის შეჯამება და გამარჯვებულის გამოვლენა საკონკურსო კომისიის მიერ.

18 აგვისტო – იტალიიდან მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენების უშუალო მონაწილისა და დოკუმენტური ფილმის – „მიხეილ თამარაშვილის“ – ოპერატორის, ბატონ იური ბარამიძის მონახულება სოფ. თანიაანთკარში.

16 სექტემბერი – 11.30 საათი: წმიდა წირვა თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში და მიხეილ თამარაშვილის საფლავის კურთხევა დიდუბის პანთეონში.

16 სექტემბერი – ჟურნალ „საბას“ სპეციალური ნომრის გამოშვება.

20 სექტემბერი – მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც გაიმართება თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში. დასაწყისი 12 საათზე (კონფერენციის ორგანიზატორები არიან თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი).

12 ოქტომბერი, ახალციხე – ა) საზეიმო ღონისძიება ახალციხის №1 საშუალო სკოლაში (სასწავლებლის 180 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. აქვე მ. თამარაშვილის, როგორც ამ სკოლის მოსწავლის, მემორიალური დაფის გახსნა); ბ) მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი საზეიმო შეხვედრა ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტში; დ) კონცერტი ახალციხის თეატრში.

ოქტომბერი – სანტა მარინელაში (იტალია) მიხეილ თამარაშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

ოქტომბერი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიხ. თამარაშვილის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნის – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ ხელახალი (რეპრინტით) გამოცემა.

სარჩევი

რედაქციის გვერდი.....2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 4
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 7
კათოლიკური პასუხი 11
საარქივო მასალები.....12
ფიქრები სიქსტეს მადონაზე.....13
ახალგაზრდული გვერდი.....15
ინფორმაცია 19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011

განუსვენე მათ, უფალო!



ანტონ ჩილინგარაშვილი
* 18.10.1930 – არალი
† 29.06.2011 – არალი

სიმონ ჩილინგარაშვილი
*02.02.1930 – არალი
† 27.06.2011- არალი

რუიზანი კოჟორიძე-ნასყიდაშვილი
*26.10.1958 – გოგაშენი (ახალქალაქი)
† 06.08.2011- ვალე



გურამ აღოშაშვილი
*10.09.1939 – არალი
† 03.07.2011- არალი

მადრიდი

წეროვანი